დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: რუსუდან უსტიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

თეონა ბუხიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ქეთევან სადრაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მანანა სეხნიაშვილი -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ელენე გაფრინდაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ანგელინა ეფრემიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

მაია მენაბდე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

თამარი მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნატო ხაჭაპურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	227752633

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი ჯიმითი
ფაქტობრივი მისამართი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი ჯიმითი
საფოსტო ინდექსი	1500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ჯიმითის საჯარო სკოლის ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	jimiti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	N MES 1 250000763878
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	28-29 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი ჯიმითი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი ჯიმითი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი ჯიმითი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის N MES 1 25 0000763878 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 28 და 29 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ-გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლაში. ექსპერტების ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ვიზიტის დროს საგნობრივ ექსპერტებს ონლაინ რეჟიმში ჰქონდათ შეხვედრა კათედრის წევრებთან მეორე სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. ასევე განხორციელდა მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურების საკითხების, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის საკითხების, სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების, სტრუქტურული ერთეულების/პირების სამუშაო აღწერილობების, პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების განხილვა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასთან დაკავშირებული პერსონალის და მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ.

განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა: სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და ინფორმირება, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები, დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის დოკუმენტაციის განხილვა.

ვიზიტის დროს დაწესებულებაში გამოკვეთილი იყო მკაფიოდ გამოხატული თანამშრომლობითი კულტურა და პოზიტიური სამუშაო გარემო. დოკუმენტების შესწავლა-გაანალიზების შემდგომ ექსპერტებმა გასცეს რჩევები, ხოლო ინტერვიუირების შემდგომ გამოვლენილი მიგნებები დასკვნებში ასახეს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სასწავლო დაწესებულებაში სკოლის დირექტორი გამოკვეთილი საგანმანათლებლო ლიდერია. იგი გონიერი ადმინისტრატორია და მიზანმიმართულად ზრუნავს სკოლის, როგორც ინსტიტუციური ორგანიზაციის განვითარებაზე, პედაგოგთა კვალიფიკაციასა და მოტივაციაზე. ეს პროცესი უზრუნველყოფს პედაგოგთა პროფესიულ ზრდას.

სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა თანამშრომლობითი კულტურის განვითარებაზე ორიენტირებული, პოზიტიურად განწყობილი, მოტივირებული პედაგოგიური კოლექტივი.

სკოლა გამოირჩევა საკლუბო მუშაობის განსაკუთრებული გამოცდილებით. ეკოკლუბის მუშაობის ფარგლებში სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა სოციალური და სასწავლო პროექტი. სკოლა ჩართულია ეკოსკოლების საერთაშორისო პროგრამაში, რომელიც წარმოადგენს გარემოსდაცვითი ორგანიზაციის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ინიციატივით წამოწყებულ პროექტს. პროექტი ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით. სკოლა ჩართული იყო ნიკო კეცხოველის პროექტში „სასკოლო პრემია“. ეს პროექტი 2015 წელს დააარსა საერთაშორისო ორგანიზაცია CENN-მა ავსტრიის განვითარების ფონდის Austrian Development Cooperation ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ ფარგლებში. სკოლა ჩართული იყო NASA-ს მიერ ორგანიზებულ პროექტში GLOBE-2024 წლის გაზაფხული და შემოდგომის ხე/ფენოლოგიის კამპანია, რომელიც საქართველოში ხორციელდება CENN-ის ორგანიზებით. სკოლაში განხორციელდა საერთაშორისო პროექტი გარემოსდაცვითი განათლების ფონდის (FEE) მიერ ინიცირებული გლობალური მოქმედების დღეები. აგრეთვე კლიმატის მოქმედების დღე, სახელად „შემოდგომის მარათონი- დრო იწურება“ არაჩვეულებრივი 7,767 კილომეტრიანი 38 დღიანი უწყვეტი ესტაფეტა, რომელიც გლაზგოდან დაიწყო, 18 ქვეყანა მოიარა და შარმ ელ-შეიხში დასრულდა.

სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი „წიგნიერი“, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვანი აქტივობებით. სკოლა ასევე აქტიურად მონაწილეობს პალიტრა „L“ -ის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ინიცირებულ პროექტებში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ სეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: ---250----------	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3.	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტიN3.4.1.1		*ხარვეზი*
სტანდარტი		*ხარვეზი:*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტიN3.4.1.	***სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა.*** *ექსპერტების ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი წერილი და ბიუროს მიერ მომზადებული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა N003001325 (თარიღი 28.05.25). აღნიშნული დასკვნის თანახმად, სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და შეუსაბამოა სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებთან. სკოლის შენობა საჭიროებს კაპიტალურ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, სათანადოდ დამუშავებული*	სკოლამ უზრუნველყოს შენობის მდგრადობასთან დაკავშირებული ერთმნიშვნელოვანი დოკუმენტის წარმოდგენა

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	პროექტის მიხედვით და დეფექტების აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნულ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, სკოლის შენობა ექვემდებარება თუ არა ექსპლუატაციას.	
სტანდარტი N 3.5.1.4	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** სკოლის შესასვლელში არაა პანდუსი. სკოლაში არაა ლიფტი და ამიტომ ყველა საერთო სარგებლობის სივრცე არაა ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის.	სკოლამ უზრუნველყოს ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობა
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.1.1.1..	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლამ „სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში“ გაწეროს მხოლოდ იმ თანამდებობრივი ერთეულების ფუნქცია მოვალეობები, რომლებიც სკოლაში ფუნქციონირებს და მაგალითად „ ენისა და მეტყველების სპეციალისტის“ ფუნქცია მოვალეობების გაწერა ამ ეტაპზე სავალდებულო არაა.
N3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები	სკოლამ შეიმუშაოს კითხვარი სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის, რათა სკოლამ სრულფასოვანი უკუკავშირი მიიღოს და სკოლის დირექციას დროული რეაგირება ჰქონდეს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე.
N 3.4.1.7	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების	სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურება.

	შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	
N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით წარმოდენილ ვადაში მერხებისა და სკამების აგრეთვე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწობილობისა და აღჭურვილობის შეტანა სასკოლო სივრცეში
N3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკა კომპიუტერით, რათა ბიბლიოთეკა წიგნების ელექტრონული ბაზით აღიჭურვოს.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში სავალდებულო თემების სახელწოდებები უნდა იყოს აღებული ესგ-დან.

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმი გადაიხედოს და საკითხების დაჯგუფება კლასტერებად მოხდეს შინაარსის მიხედვით. **დაწყებით საფეხურზე** საგან მე და საზოგადოებაში სასურველია შემოქმედებითი დავალებების საკითხთა დაჯგუფება მოხდეს საკითხთან მიმართებაში. **უცხოური ენების ექსპერტის რჩევა:** ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე, დაასახელეს მაგალითები, აქტივობები, თუმცა კარგი იქნებოდა კურიკულუმებშიც იყოს გაწერილი დიფერენცირებული სწავლების მიდგომები (კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ან კურიკულუმი იძლეოდეს არჩევანს მოსწავლეთათვის კომპელექსური დავალების მხრივ , შეთავაზებული იყოს სულ მცირე ორი ვარიანტი). სასურველია ასევე ყველა კურიკულუმებში იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ. **მათემატიკის ექსპერტის რჩევა:** სასურველია, ზოგიერთი კლასის სასწავლო გეგმა (მაგ: მე-4) გადაიხედოს და მოხდეს თემების ესგ-ს მიხედვით განსაზღვრა. რათა სასწავლო პროცესი უფრო მიზანმიმართული და თანმიმდევრული გახდეს. **კომპიუტერული მეცნიერებების ექსპერტის რჩევა**: პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით შეადგინონ და დახვეწონ კლასის კურიკულუმები, მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, კონტექსტ მაგალითები. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევა:**

		• სახელმწიფო ენის პირველ კლასის კურიკულუმში წინასაანბანო პერიოდში დაემატოს სამიზნე ცნება ,,წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა“ , ხოლო სამიზნე ცნება ,,გრამატიკა“, რომელიც საერთოდ არ მუშავდება პირველ კლასში, ამოიღონ კურიკულუმიდან. • ქართული ენის კურიკულუმებში საკითხი თანხვედრაშია დავალების იდეასთანაც. მათი შეტანა ერთად, საკითხების სვეტშიც შეიძლება.ხოლო ძირითადი/დამხმარე ტექსტები და კონტექსტმაგალითები უნდა იყოს შეტანილი გრაფაში ტექსტი/ტექსტები. • სასურველია, კურიკულუმებში დავალებების სვეტში კონკრეტულად ის შემოქმედებითი ბუნების დავალებები ეწეროს, რომელიც რელურად ხორციელდება. • ბუნებისმეტყველების კურიკულუმში სავალდებულო თემები სწორად განისაზღვროს ყველა კლასში.
2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** ყურადღება მიექცეს თითოეულ თემაში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებას. **კომპიუტერული ტექნოლოგიების ექსპერტის რჩევა:** მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები დაფუძნებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, ცოდნის აგების პრინციპზე და ითვალისწინებს ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას, მიზანშეწონილია, რომ კურიკულუმში უფრო მკაფიოდ აისახოს საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნები. კონკრეტულად რეკომენდებულია, კურიკულუმში დეტალურად იყოს გაწერილი თითოეული თემისთვის შესაბამისი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხვები და შესაბამისი კონტექსტების მაგალითები. ეს შეაძლებინებს მასწავლებლებს, სწავლის პროცესის უფრო მიზნობრივად დაგეგმვასა და

		განხორციელებას, მოსწავლეებს კი — უფრო ღრმა და თანმიმდევრული სწავლის გამოცდილების მიღებას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული. იკვეთებოდეს კურიკულუმში, რომ ყველა სამიზნე ცნება მუშავდება თითოეულ თემაში.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**კომპიუტერული ტექნოლოგიების ექსპერტის რჩევა:** თითოეული თემის დამუშავებისას აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით. დამატებითი რესურსები გამოყენებული უნდა იყოს როგორც უშუალოდ მასალის ახსნისა და გადაცემისათვის (თვალსაჩინოებები, მაგალითები, ფოტო/ვიდეო მასალები), აგრეთვე შესწავლილი საკითხების გაგება-გააზრებისთვის. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის** რჩევა: სასურველია, რომ რესურსების ჩამონათვალი დაწყებით საფეხურზე კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები.
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** კათედრამ მეტად იმუშაოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე, მოახდინოს კომპლექსური დავალებების ადაპტირება სსსმ მოსწავლისთვის და შექმნას შესაბამისი შეფასების რუბრიკები. **უცხოური ენების ექსპერტის რჩევა:** ინგლისურ და რუსულ ენაში წარმოდგენილ სსსმ მოსწავლისათვის შექმნილ ინდივიდუალურ

		სასწავლო გეგმის ნიმუშებში, სასურველი იქნებოდა ჩანდეს მოსწავლეთა მიღწევების მონიტორინგი. **კომპიუტერული მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი უნდა იყოს მოქნილი და ადაპტირებადი, რათა მოსწავლეს შესაძლებლობა მიეცეს, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას გამოიყენოს საკუთარი უნარები და ინტერესები. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს შემოქმედებითობის განვითარებას და მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობათა რეალიზებას. ამიტომ, სასურველია მასწავლებლებმაკურიკულუმის ფარგლებში ხშირად დანერგონ ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტები, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ საკუთარი ინიციატივით შექმნან პროდუქტები და გამოავლინონ შესაძლებლობები. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევა:** სასურველია, კურიკულუმშიც ჩანდეს, დანართშიც იყოს გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალების ადაპტირებული/ დიფერენცირებული პირობა და შეფასების რუბრიკა.
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**კომპიუტერული მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** კომპიუტერული ტექნოლოგიების შეფასების რუბრიკებში უნდა ჩანდეს, თუ რომელ კონკრეტულ სამიზნე ცნების მიხედვით აფასებთ მოსწავლეს. აღწერდეს ამ ცნებასთან მიმართებით მოსწავლის მიღწევას და აძლევდეს რჩევას შემდგომი განვითარებისათვის. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექპერტის რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს,

		შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.
2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**კომპიუტერული მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით შეადგინონ და დახვეწონ კლასის კურიკულუმები, მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, კონტექსტ მაგალითები. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევა:** სასურველია, მე და საზოგადოებაში საკითხები გაერთიანდეს საკითხთა კლასტერებად.
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** ზოგჯერ შეფასების რუბრიკები უფრო ზოგადი ხასიათისაა, სასურველია შეფასების რუბრიკები მეტად დაკონკრეტდეს კონკრეტულ დავალებაზე. **მათემატიკის ექსპერტის რჩევა:** მიუხედავად წარმოდგენილი (ზემოთ აღნიშნული) შეფასების რუბრიკებისა, ზოგიერთი რუბრიკა ზოგადია, სასურველია გადაიხედოს რომ შეესაბამებოდეს სტანდარტის ინდიკატორებს, და გამორიცხოს სუბიექტური / შემთხვევითი ფაქტების გავლენა. **კომპიუტერული ტექნოლოგიების ექსპერტის რჩევა:** მიუხედავად იმისა, რომ შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია მრავალფეროვანი ფორმით და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მიზანშეწონილია, თითოეულ რუბრიკაში დაკონკრეტდეს კრიტერიუმების მიხედვით ქულათა მინიჭების პრინციპები. მოსწავლისთვის უფრო მკაფიო უნდა იყოს, კონკრეტულად რა

		შემთხვევაში დაიმსახურებს მაქსიმალურ შეფასებას, რა შემთხვევაში შემცირდება ქულა და რამდენით. რეკომენდებულია, ქულებით შეფასებასთან ერთად სისტემატურად იყოს ინტეგრირებული განმავითარებელი შეფასების ელემენტები – ფოკუსით პროგრესზე და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევა:** სასურველია, ყველა შემოქმედებით დავალებას შეფასების სქემა თან ერთვოდეს, რათა მომავალში მოსწავლეებს უკეთ მიეცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლემ კი მოახერხოს თვითშეფასება.
2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენების ექსპერტის რჩევა:** კათედრის სხდომის ოქმის დანართში ჩანდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა. **კომპიუტერული ტექნოლოგიების ექსპერტის რჩევა:** კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრული უნდა იყოს საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმით.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)*	*რჩევა*
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** საბუნებისმეტყველო საგნების და ბუნებისმეტყველების

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	კურიკულუმებში სავალდებულო თემების სახელწოდებები უნდა იყოს აღებული ესგ-დან. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმი გადაიხედოს და საკითხების დაჯგუფება კლასტერებად მოხდეს შინაარსის მიხედვით. საბაზო საფეხურის კურიკულუმები გადაიხედოს და ყველა შემოქმედებითი დავალების საკითხთა კლასტერი შინარსის მიხედვით დაჯგუფდეს. **უცხოური ენების ექსპერტის რჩევა:** ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე, დაასახელეს მაგალითები, აქტივობები, თუმცა კარგი იქნებოდა კურიკულუმებშიც იყოს გაწერილი დიფერენცირებული სწავლების მიდგომები (კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ან კურიკულუმი იძლეოდეს არჩევანს მოსწავლეთათვის კომპელექსური დავალების მხრივ , შეთავაზებული იყოს სულ მცირე ორი ვარიანტი). სასურველია ასევე ყველა კურიკულუმებში იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ. **მათემატიკის ექსპერტის რჩევა:** სასურველია, ყველა კლასის სასწავლო გეგმა გადაიხედოს და მოხდეს თემების ესგ-ს მიხედვით განსაზღვრა. რათა სასწავლო პროცესი უფრო მიზანმიმართული და თანმიმდევრული გახდეს.
2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** ყურადღება მიექცეს თითოეულ თემაში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებას.

2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექპერტის რჩევა:** ლაბორატორიის არასრულყოფილების გამო მეტად ჩართონ პრაქტიკაში იაფი და ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით ცდების და ექსპერიმენტების ჩატარება, ასევე გაამრავალფეროვნონ ელექტრონული რესურსების ჩამონათვალიც.
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** კათედრამ მეტად იმუშაოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე, მოახდინოს კომპლექსური დავალებების ადაპტირება სსსმ მოსწავლისთვის და შექმნას შესაბამისი შეფასების რუბრიკები. **უცხოური ენების ექსპერტის რჩევა:** ინგლისურ და რუსულ ენაში წარმოდგენილ სსსმ მოსწავლისათვის შექმნილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის ნიმუშებში, სასურველი იქნებოდა ჩანდეს მოსწავლეთა მიღწევების მონიტორინგი.
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო კონკრეტული და მორგებული კონკრეტულ საკითხზე, რათა შეფასება იყოს მეტად ვალიდური და ობიექტური. **უცხოური ენების ექსპერტის რჩევა:** სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში თითოეული კრიტერიუმი მოიცავდეს კონკრეტულ ქულას, კრიტერიუმების ქულათა საერთო ჯამი კი იქნება მოსწავლის შეფასება კონკრეტულ აქტივობაში. **სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევა:** სასურველია, კათედრამ შექმნას უფრო მეტი კონკრეტულ დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები, რომლებსაც გამართავენ მესამე თაობის ესეგედან ამოღებული მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.

		მათემატიკის ექსპერტის რჩევა: შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** ზოგჯერ შეფასების რუბრიკები უფრო ზოგადი ხასიათისაა, სასურველია შეფასების რუბრიკები მეტად დაკონკრეტდეს კონკრეტულ დავალებაზე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** საბაზო საფეხურზე შეფასების კრიტერიუმები ზოგიერ შემთხვევაში ზოგადია. სასურველია, ისინი გადაისინჯოს, რათა სრულად შეესაბამებოდეს ესგ-ში მოცემულ შეფასების ინდიკატორებს. **მათემატიკის ექსპერტის რჩევა:** მიუხედავად წარმოდგენილი (ზემოთ აღნიშნული) შეფასების რუბრიკებისა, ზოგიერთი რუბრიკა ზოგადია, სასურველია გადაიხედოს რომ შეესაბამებოდეს სტანდარტის ინდიკატორებს, და გამორიცხოს სუბიექტური / შემთხვევითი ფაქტების გავლენა.
2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** კურიკულუმებში შერჩეულ დავალებებში მეტად შეიტანონ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოითხოვენ იაფ, ხელმისაწვდომ რესურსებს, რომელთა მოძიებაც ნებისმიერ ოჯახს შეუძლია. ასეთი აქტივობები მრავლადაა გრიფირებულ სახელმძღვანელოებში.

2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენების ექსპერტის რჩევა:** კათედრის სხდომის ოქმის დანართში ჩანდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა. **მათემატიკის ექსპერტის რჩევა:** იმისათვის რომ დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, სასურველია, რესურსების ვალიდაციის გაძლიერება რომ ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)*	*რჩევა*
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** საბუნებისმეტყველო საგნების და ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში სავალდებულო თემების სახელწოდებები უნდა იყოს აღებული ესგ-დან. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმი გადაიხედოს და საკითხების დაჯგუფება კლასტერებად მოხდეს შინაარსის მიხედვით.

		საშუალო საფეხურის კურიკულუმები გადაიხედოს და ყველა შემოქმედებითი დავალების საკითხთა კლასტერი შინარსის მიხედვით დაჯგუფდეს. **უცხოური ენების ექსპერტის რჩევა:** ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე, დაასახელეს მაგალითები, აქტივობები, თუმცა კარგი იქნებოდა კურიკულუმებშიც იყოს გაწერილი დიფერენცირებული სწავლების მიდგომები (კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ან კურიკულუმი იძლეოდეს არჩევანს მოსწავლეთათვის კომპელექსური დავალების მხრივ , შეთავაზებული იყოს სულ მცირე ორი ვარიანტი). სასურველია ასევე ყველა კურიკულუმებში იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ. **მათემატიკის ექსპერტის რჩევა:** სასურველია, ყველა კლასის სასწავლო გეგმა გადაიხედოს და მოხდეს თემების ესგ-ს მიხედვით განსაზღვრა. რათა სასწავლო პროცესი უფრო მიზანმიმართული და თანმიმდევრული გახდეს.
2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** ყურადღება მიექცეს თითოეულ თემაში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებას.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექპერტის რჩევა:** ლაბორატორიის არასრულყოფილების გამო მეტად ჩართონ პრაქტიკაში იაფი და ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით ცდების და ექსპერიმენტების ჩატარება, ასევე გაამრავალფეროვნონ ელექტრონული რესურსების ჩამონათვალიც.

2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** კათედრამ მეტად იმუშაოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე, მოახდინოს კომპლექსური დავალებების ადაპტირება სსსმ მოსწავლისთვის და შექმნას შესაბამისი შეფასების რუბრიკები.
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო კონკრეტული და მორგებული კონკრეტულ საკითხზე, რათა შეფასება იყოს მეტად ვალიდური და ობიექტური. **უცხოური ენების ექსპერტის რჩევა:** სასურველია განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებში თითოეული კრიტერიუმი მოიცავდეს კონკრეტულ ქულას, კრიტერიუმების ქულათა საერთო ჯამი კი იქნება მოსწავლის შეფასება კონკრეტულ აქტივობაში. **სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევა:** სასურველია, კათედრამ შექმნას უფრო მეტი კონკრეტულ დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები, რომლებსაც გამართავენ მესამე თაობის ესეგედან ამოღებული მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. **მათემატიკის ექსპერტის რჩევა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** ზოგჯერ შეფასების რუბრიკები უფრო ზოგადი ხასიათისაა, სასურველია

		შეფასების რუბრიკები მეტად დაკონკრეტდეს კონკრეტულ დავალებაზე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** საშუალო საფეხურზე შეფასების კრიტერიუმები ზოგიერ შემთხვევაში ზოგადია. სასურველია, ისინი გადაისინჯოს, რათა სრულად შეესაბამებოდეს ესგ-ში მოცემულ შეფასების ინდიკატორებს. **მათემატიკის ექსპერტის რჩევა:** მიუხედავად წარმოდგენილი (ზემოთ აღნიშნული) შეფასების რუბრიკებისა, ზოგიერთი რუბრიკა ზოგადია, სასურველია გადაიხედოს რომ შეესაბამებოდეს სტანდარტის ინდიკატორებს, და გამორიცხოს სუბიექტური / შემთხვევითი ფაქტების გავლენა.
2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:** კურიკულუმებში შერჩეულ დავალებებში მეტად შეიტანონ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოითხოვენ იაფ, ხელმისაწვდომ რესურსებს, რომელთა მოძიებაც ნებისმიერ ოჯახს შეუძლია. ასეთი აქტივობები მრავლადაა გრიფირებულ სახელმძღვანელოებში. **უცხოური ენების ექსპერტის რჩევა:** სასურველია 12 - ე კლასის გერმანული ენის კურიკულუმში ნაჩვენები იყოს ბეჭდურ რესურსთან ერთად დამხმარე ციფრული რესურსების გამოყენების პრაქტიკა.
2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენების ექსპერტის რჩევა:** კათედრის სხდომის ოქმის დანართში ჩანდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა. **მათემატიკის ექსპერტის რჩევა:** იმისათვის რომ დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, სასურველია, რესურსების ვალიდაციის გაძლიერება რომ ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული, რომ

		უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ჩვენ მიერ წარმოდგენილ დასკვნის პროექტში ასახული იყო შემდეგი ხარვეზები:

1. სტანდარტი N3.4.1.1 **სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს-პროცესების უწყვეტობა.**

ექსპერტების ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი წერილი და ბიუროს მიერ მომზადებული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა N003001325 (თარიღი 28.05.25). აღნიშნული დასკვნის თანახმად, სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და შეუსაბამოა სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებთან. სკოლის შენობა საჭიროებს კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით და დეფექტების აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნულ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი, სკოლის შენობა ექსპლუატაციას ექვემდებარება თუ არა.

ხარვეზი: *სკოლამ უზრუნველყოს შენობის მდგრადობასთან დაკავშირებული ერთმნიშვნელოვანი დოკუმენტის წარმოდგენა.*

2. სტანდარტი N3.5.1.4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შესასვლელში არაა პანდუსი. სკოლაში არაა ლიფტი და ამიტომ ყველა საერთო სარგებლობის სივრცე არაა ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის.

***ხარვეზი**: სკოლამ უზრუნველყოს ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობა.*

3. სტანდარტი N3.6.3.5 ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებ-გვერდზე skolebi.emis.ge ჯიმითის სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია. თუმცა არასრულყოფილად.

***ხარვეზი**:სკოლამ უზრუნველყოს პორტალზე მოსწავლეთა მხარდამჭერი სერვისების, გასაჩივრების მექანიზმის, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის ასახვა*

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და შეცვლილი გარემოებები, რომლებიც ნაწილობრივ შეესაბამებიან N3.4.1.1 და N3.5.1.4 სტანდარტებს.

კერძოდ, სტანდარტი N3.4.1.1-ის შესაბამისად, სკოლა გეგმავს შენობის მდგრადობასთან დაკავშირებული ერთმნიშვნელოვანი დოკუმენტი წარმოადგინოს 15.08. 2025--15.08. 2027 წლების ვადაში.

სტანდარტი N3.5.1.4-ის შესაბამისად კი, ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის საერთო სარგებლობის სივრცეებს სკოლა ხელმისაწვდომს გახდის 15.08. 2025--15.08.2027 წლების ვადაში.

რაც შეეხება სტანდარტ N3.6.3.5-ს, იგი ჩავთვალეთ შესაბამისად, რადგან სკოლამ ვებგვერდზე (პორტალზე) უკვე განათავსა მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლის მისიაა: "შექმნას უსაფრთხო გარემო სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესებისთვის, რათა ზოგადმა განათლებამ თითოეულ მოსწავლეს მისცეს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრების საშუალება". სკოლა გამოხატავს მზადყოფნას მოსწავლეზე ორიენტირებული ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის, სადაც მოსწავლეები შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებას, რაც შეესაბამება განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა, საკუთარი მისიისა და ხედვის შესაბამისად, ასრულებს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის როლს.**

სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინკლუზიურ გარემოს, რათა თითოეულმა მოსწავლემ თავი იგრძნოს უსაფრთხოდ, სადაც პიროვნული განვითარებისათვის შესაბამისი გარემოა შექმნილი. სკოლას გააზრებული აქვს თავისი როლი, რომელიც მოსწავლეებს მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის საფუძველზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადეკვატური ჩართულობის საშუალებას მისცემს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა, ღირებულებები ჩამოყალიბდა დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში არა მარტო სასკოლო საზოგადოების, არამედ თემის წარმომადგენლებიც შედიოდნენ. სკოლამ გამოკვეთა პრიორიტეტები და დაამტკიცა კანონმდებლობით დადგენილი ნორმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ ჩაატარა შეხვედრები: მასწავლებლებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან, თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. ასევე ჩატარდა მშობელთა და მოსწავლეთა გაერთიანებული შეხვედრა, სადაც სასკოლო საზოგადოება თავისუფლად გამოხატავდა საკუთარ აზრს. სკოლამ წარმოადგინა შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაციაც, რაც ადასტურებს რომ სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რადგან გაზიარებულია სკოლის ვებ-გვერდსა და ფეისბუქ-გვერდზე. აგრეთვე, მატერიალური სახით სკოლის ყველა სართულზეა განთავსებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლა წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. დაფუძნებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და მისი სახელწოდება განსაზღვრულია მინისტრის ბრძანებით: სსიპ- გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მისია, ხედვა, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება*
2. *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*

3. *სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები*
4. *მშობელთა და მოსწავლეთა გაერთიანებული სხდომის ოქმი*
5. *მისია,ხედვა, ღირებულებების გაზიარების ლინკი*
6. *მისია,ხედვა,ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის ოქმებიN1,N2,N3*
7. *მისია,ხედვა,ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს 04.03.2025-ში დირექტორის ბრძანებით N2-12 დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც დაფუძნებულია სკოლის ძირითად პრორიტეტებზე. აღნიშნულ დოკუმენტში განხილულია სტრატეგიული დაგეგმვის და განვითარების ძირითადი ეტაპები, განსაზღვრულია პროცესებზე პასუხისმგებელი პირი და პროცესში ჩართული მხარეები. დოკუმენტში ასახულია დოკუმენტის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების,

ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმები. მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით სკოლას შემუშავებული აქვს 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედო ერთწლიან სამოქმედო გეგმას.

სკოლის პრიორიტეტია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში უპირატესობა მიანიჭოს გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. სკოლა სტრატეგიულ დაგეგმვას "SWOT"-ანალიზის საშუალებით ახორციელებს და მას სკოლის შესაძლებლობების განვითარების მიმართულების განსაზღვრისთვის იყენებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას აქვს 2024-2031 წლის განვითარების სტრატეგიული გეგმა. სსიპ-გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით. სტატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლამ გაითვალისწინა სტრატეგიული მიზნები და ამოცანები და ეყრდნობა განვლილი სასწავლო წლის ანალიზს. იგი ასახავს სტრატეგიულ (შვიდწლიან) გეგმაში წარმოდგენილი მიზნების მიღწევისთვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა შესრულებაც რეალისტურია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მისია,ხედვა,ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი*
2. *შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები*
3. *მისია,ხედვა,ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის ოქმებიN1,N2,N3*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ორჯერ - იანვარსა და ივნისში. სკოლაში შესაძლოა, განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგი და შეფასებაც, რომელსაც კოორდინაციას გაუწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. თუმცა, პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დირექტორის მოადგილე.

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ - მისი განხორციელების შუაში და ბოლოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის სკოლაში გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას განზრახული აქვს, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობით პროცესად აქციოს. აპირებენ, შეიმუშაონ კითხვარები და სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი განახორციელოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ეს პროცესი წარიმართება სამუშაო ჯგუფის ფორმატში და გაუზიარებენ ყველა დაინტერესებულ მხარეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაგეგმილია კითხვარების შემუშავება, რომლის საფუძველზე განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი. სტარტეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიში საჯაროდ გამოქვეყნდეს სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

დაგეგმილია, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მონიტორინგის ფარგლებში მოპოვებული და ანგარიშის სახით (რომელშიც წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების წევრებისგან მიღებული უკუკავშირიც) ჩამოყალიბებული მონაცემები წარედგინოს დირექტორს. ამავე დროს, ეს დოკუმენტი სკოლას გამოადგება მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაშიც და ზოგადად, შემდგომი განვითარებისთვისაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მისია,ხედვა,ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი*
2. *შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია დოკუმენტში: "სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები" და ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღსანიშნავია, რომ თითოეულ დასაქმებულ პირს მათი ფუნქცია-მოვალეობები გაწერილი აქვს შრომით ხელშეკრულებაში.

სკოლაში პერსონალის შრომითი ხელშეკრულებით და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები შესაბამისობაშია ერთმანეთთან. ამასთან, მასწავლებელთა ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მოთხოვნები.

გასაუბრებისას სკოლის პერსონალმა აღნიშნა, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულები (წარმოდგენილია გრაფიკის სახით) საქმიანობას ახორციელებენ „ზოგადი განათლების შესახებ" კანონის შესაბამისად. სკოლის მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების" შესაბამისად. სკოლაში მასწავლებელთა უფლებამოსილების განხორციელება ხდება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის N30 ბრძანების „ზოგადი განათლების შესახებ"

საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდებისა“ და აგრეთვე „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ საფუძველზე, რომელიც საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრმა 2014 წელს 30 დეკემბერს N167/ნ ბრძანებით დაამტკიცა.

რჩევა: სკოლამ „სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში“ გაწეროს მხოლოდ იმ თანამდებობრივი ერთეულების ფუნქცია მოვალეობები, რომლებიც სკოლაში ფუნქციონირებს და მაგალითად „ ენისა და მეტყველების სპეციალისტის“ ფუნქცია მოვალეობების გაწერა ამ ეტაპზე სავალდებულო არაა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციათა მკაფიო განაწილება და შრომით ხელშეკრულებაში მკაფიოდ გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები უზრუნველყოფს სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების ზუსტ გადანაწილებას, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში დაცულია „ზოგადი განათლების შესახებ კანონი“, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის ნორმები, სკოლის შინაგანაწესი და მოქმედი სხვა კანონმდებლობა, რომლებიც ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ორგანულ კანონს: „საქართველოს შრომის კოდექსს“. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი კარგად იცნობენ საკუთარ ფუნქცია/მოვალეობებს და საჭიროების შემთხვევაში კარგად ასრულებენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. სკოლის სრტუქტურა
4. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას აქვს „ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი". სკოლის შინაგანაწესში გაწერილი პერსონალის მიღების წესი მკაფიოა. ამავე დროს, შრომით ხელშეკრულებებშიც ასახულია ზემოთხსენებული საკითხები, რაც უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვას. სკოლის მისია და ხედვა ღირებულებებსა და არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია.

სკოლაში პერსონალის მიღება კონკურსის წესით ხდება. დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საკონკურსო კომისიას და კონკურსი წარიმართება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციები მკაფიოა და ითვალისწინებს დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც საჭიროებაზე დაფუძნებულ პერსონალის მართვის პოლიტიკას გამჭვირვალეს ხდის. მაგალითად, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისთვის, დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას დირექტორის მოადგილე ასრულებს. ამავე დროს, პედაგოგის არყოფნის შემთხვევაში მისი ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება ხდება იმავე საგნობრივ ჯგუფში შემავალ კოლეგებზე - შესაბამისი ანაზღაურებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში მასწავლებლების მიღება ხდება როგორც ღია კონკურსის წესით, ისე შიდა კონკურსის წესით. მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენისას სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ" კანონისა და აგრეთვე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N17/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებით. ვაკანსიაზე კონკურსს teacherjobs.ge-ზე აცხადებენ. დირექტორი ბრძანებით ქმნის საკონკურსო კომისიას. სკოლის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმები შეესაბამება სკოლის მიერ შემუშავებულ მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კონკურსის პირველ ეტაპზე შერჩევის შედეგი და დანიშნული გასაუბრების თარიღი ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტით. სკოლა იცავს ობიექტურობის, გამჭვირვალობის, საჯაროობისა და კორექტულობის პრიციპებს და შერჩეულ აპლიკანტთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებას, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული როგორც დამსაქმებლის, ასევე დასაქმებული პირის უფლება-მოვალეობები. პერსონალის შერჩევისას სკოლა ხელმძღვანელობს საქართველო კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებით და საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარდა, სკოლაში დასაქმებულ ყველა პერსონალს სთხოვს კანონით დადგენილ სამივე ცნობას. ვიზიტისას ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლაში დასაქმებული ყველა პირის პირადი საქმეები, რომლებიც, სხვა დოკუმენტებთან ერთად, შეიცავდა ზემოთ აღნიშნულ სამივე ცნობას (ცნობა: ნასამართლეობის, ნარკოლოგიურისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

Eschool-ის ბაზის მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 1 მენტორი, 5 წამყვანი,17 უფროსი მასწავლებელი. მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სტატუსის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია ასახული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა ჩამოყალიბებული თანამშრომლობითი კულტურა და განვითარებაზე ორიენტირებული, გუნდურად მომუშავე პედაგოგიური კოლექტივი. ისინი იკრიბებიან სხდომებზე, ოქმებით იღებენ გადაწყვეტილებებს. კათედრის წევრები ჩართულნი არიან კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კათედრები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, რასაც განხორციელებული ერთობლივი აქტივობებიც ადასტურებს. პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო,

მრჩეველთა საბჭო იკრიბებიან შეხვედრებზე და იღებენ გადაწყვეტილებებს კენჭისყრის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობს როგორც დირექცია, ისე პედაგოგები.

გამოკვეთილი გუნდური მუშაობის პრინციპი ნათლად ჩანდა სკოლაში ვიზიტისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ტრადიცია, რაც ნათლად ჩანს როგორც სკოლის ვებ-გვერდზე, ისე ფეისბუქ-გვერდსა და სასკოლო სივრცეში, სადაც მრავლადაა გაზიარებული წარმატებისა და აღიარების დოკუმენტები.

სკოლაში ვიზიტისას პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ მათი მხარდაჭერა სასკოლო საზოგადოებისგან, განსაკუთრებით კი დირექციისგან აისახება არა მხოლოდ მოტივაციაზე, არამედ მუშაობის ხარისხზეც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
3. ღია კონკურსის მასალები
4. შრომითი ხელშეკრულებები
5. სტრუქტურული ერთეულების ოქმები
6. Eschool-ის ბაზის მონაცემები
7. თანამშრომელთა პირადი საქმეები
8. სოციალური ქსელის, ვებ-გვერდის ლინკები სკოლის მიერ გამოცდილების გაზიარების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა სასწავლო პროცესის მონიტორინგის შემდგომ ჩამოაყალიბა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა თავისთავად მოიცავს პერსონალის შეფასებასა და პროფესიულ განვითარებას. სკოლა პროფესიული საჭიროებების დადგენას ახერხებს ურთიერთდასწრებით და თვითრეფლექსიით. იყენებს მენტორი და წამყვანი მასწავლებლების რესურსს ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრებისთვის (ზემოაღნიშნული ასახულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიც). აგრეთვე გამოყენებულია გამოცდილების გაზიარების, კრიტიკული მეგობრის, პროფესიული ლიტერატურის გაზიარების და სხვა მეთოდებიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის.ზემოაღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ ექსპერტების სკოლაში ვიზიტის დროს პედაგოგები კონკრეტული ქეისების მაგალითზე იხსენებდნენ საკუთარი თუ კოლეგების საჭიროებების დადგენისა და განვითარების პროცესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლა პერსონალის განვითარებაზე ზრუნავს საჭიროებების გამოვლენის საფუძველზე. დირექცია ხშირად ესწრება და აძლევს უკუკავშირს პედაგოგებს. კათედრებზე ნაყოფიერად მუშაობს ურთიერთდასწრების პრაქტიკა. ურთიერთდასწრება ხდება ორგანიზებულად. ამ ფაქტზე მეტყველებს ურთიერთდასწრების გრაფიკიც, რომელიც წლის დასაწყისში კათედრაზე შემუშავდება. შემდგომ კი, გამოკვეთილი საჭიროების ანალიზის საფუძველზე კოლეგები შეაფასებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. ამის საფუძველზე მასწავლებლები გეგმავენ პროფესიული ზრდისთვის საჭირო აქტივობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში“ მუხლი 20- „თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება“ -ის თანახმად: სკოლა პერსონალს სთავაზობს პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ისე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული პერსონალის განვითარების ხედვა შემდეგ პრინციპებს ემყარება: მოქნილობა, სწავლის მხარდაჭერა, შეფასება, როგორც სწავლის საშუალება, პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა, უწყვეტი განათლების სერვისის შეთავაზება. სკოლის დირექცია მუდმივად აწვდის მასწავლებლებს ინფორმაციას მიმდინარე ტრენინგების შესახებ. მასწავლებლებს შეუფერხებლად მიუწვდებათ ხელი ბიბლიოთეკაში არსებულ პროფესიულ ლიტერატურაზე. ექსპერტებთან გასაუბრებისას პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ დირექცია ყოველთვის მხარს უჭერს და ეხმარება მათ პროფესიული უნარების განვითარებაში. ამას ადასტურებს მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილი ტრენინგებისა და ვორქშოფების დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, კონკურსის გზით შერჩეულ პირს ეძლევა ცოდნისა და უნარების გამოვლენის საშუალება, რადგან სკოლა ზრუნავს ახალი კადრების ინტეგრაციაზე. ექსპერტებთან გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლის დირექცია ახალ თანამშრომელს მაქსიმალური კეთილგანწყობით ხვდება, რაც უადვილებს მას ადაპტაციასა და ინტეგრაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

დასაქმებულის მოტივაციასა და სამუშაოს ხარისხს განსაზღვრავს პროცესის სამართლიანი, ობიექტური, გამჭირვალე მართვა, სადაც ყურადღება ექცევა სამუშაოს შესრულების ხარისხს. სკოლის შინაგანაწესში, რომელიც სასკოლო საზოგადოების ჩართულობითაა შემუშავებული, აღნიშნულია, რომ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან /და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება, ერთჯერადად პრემიის გაცემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
2. სკოლის შინაგანაწესი
3. სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ყოველი კომპონენტი ხორციელდება: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება და რევიზია, რადგან პროცესში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. სკოლაში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მიმართულია სასწავლო პროცესის მუდმივი გაუმჯობესებისკენ: ხდება სასწავლო პროგრამების შეფასება, სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებაზე. პროცესი ხორციელდება დემინგის ციკლის შესაბამისად.

ექსპერტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების გამართული მუშაობის ამსახველი მტკიცებულებები

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლამ წარმოადგინა საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების რეალიზაციისთვის საჭირო დოკუმენტები: სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა , სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სკოლის შინაგანაწესი, საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი და სხვა.

გასაუბრების დროს დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოებას არა მარტო გააზრებული და იდენტიფიცირებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი ძირითადი და დამხმარე პროცესები, არამედ იყენებს კიდეც ყოველდღიურ საქმიანობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“, სადაც დეტალურადაა აღწერილი საჩივრის სახეები, საჩივრის განხილვის ვადა, წარდგენისა და განხილვის წესები, აგრეთვე დისციპლინური წარმოების წესი. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლას აქვს „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ და ეფექტურადაც იყენებს მას. ექსპერტებთან საუბარში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები თანაბრად სარგებლობენ თავიანთი უფლებებით. პერსონალის უფლება-მოვალეობები ხელშეკრულებებშია გაწერილი. მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და მოსწავლეების უფლებები და ვალდებულებები კი გაწერილია სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

სკოლას წარმოდგენილი აქვს „შინაგანაწესი“, სადაც ნათლად ჩანს, რომ დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით. სკოლაში არ გამოიყენება ისეთი დისციპლინური სახდელი, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას. ასე რომ, სკოლაში სრულფასოვნად მოქმედებს პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა*
2. *საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი*
3. *სკოლის შინაგანაწესი*
4. *მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება*
5. *სამაეურვეო საბჭოს ოქმი*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირებისთვის იყენებს: სოციალურ ქსელებში შექმნილ დახურულ ჯგუფებს, სკოლის ვებ-გვერდს, სადაც სისტემატიურად აქვეყნებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ამ გზით სასკოლო საზოგადოება დროულად იღებს ინფორმაციას და თავისი აზრის გამოხატვაც შეუძლია.

მშობელთა კრებებზე სისტემატიურად ხდება მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება და მათი აზრის ასახვა მშობელთა კრების ოქმებში. უკუკავშირის მიღების შემდგომ, სკოლის დირექცია შესაბამისად რეაგირებს. მშობლები ხშირად ხვდებიან საგნების მასწავლებლებს და ამ გზითაც შესაძლებელია სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება.

ექსპერტებთან შეხვედრაზე მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები აქტიურად არიან ჩართული სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. ისინი აქტიურად აფიქსირებენ საკუთარ აზრს და სკოლის დირექციას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვანი რეაგირება ჰქონდეს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს სკოლის კედელზე, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფას, სადაც გაზიარებულია საჯარო დოკუმენტაცია. სკოლაში ანონიმური უკუკავშირისთვის სასკოლო საზოგადოებისგან ფუნქციონირებს ყუთი „ნუ გაჩუმდები“.

ნებისმიერი პირი დაინტერესების შემთხვევაში იღებს ინფორმაციას სკოლის დირექციისგან მისთვის სასურველი ფორმით (ელექტრონული ჟურნალით, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფით და სხვა) და კანონის სრული დაცვით.

რჩევა: სკოლამ შეიმუშაოს კითხვარი სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის, რათა სკოლამ სრულფასოვანი უკუკავშირი მიიღოს და სკოლის დირექციას დროული რეაგირება ჰქონდეს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის მართვის კოლეგიალური ორგანოები, რომელთა დაკომპლექტებაშიც ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ინკლუზიური განათლებისა და მონიტორინგის ჯგუფები, მრჩეველთა საბჭო და სხვა. მაგ. სამეურვეო საბჭოში არჩეულია სამი მშობელი დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურიდან. ისინი იღებენ მონაწილეობას ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა: დირექტორის დანიშვნა, ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრის განხილვა და სხვა. ორი მშობელი მონაწილეობს დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში. სასკოლო აქტივობებში მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა მაღალია. მაგალითად, სოფელ ჯიმითის სკოლაში ტრადიციულად ხორციელდება აქტივობები: „კითხვის საათი მშობელთან ერთად“, მხიარული სტარტები და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სამეურვეო საბჭოს ოქმი*
2. *მშობელთა კრების ოქმი*
3. *სკოლის სციალური გვერდის სქრინი*
4. *მშობელთა დახურული ჯგუფის სქრინი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში).

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც მანდატურის სამსახურში გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება, რაც დასტურდება სერტიფიკატით.

სკოლაში შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლამ წარმოადგინა წერილი უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან გაგზავნილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და საევაკუაციო გეგმის შესათანხმებლად. ექსპერტების ვიზიტისას კი ზემოაღნიშნული უკვე შეთანხმებული ჰქონდა.

სკოლამ წარმოადგინა წერილი საგანგებო მართვის სამსახურის საქვეუწყებო სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების დეპარტამენტში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისობის დასკვნისა და რეკომენდაციების გაცემასთან დაკავშირებით. ექსპერტების ვიზიტისას სკოლას უკვე მიღებული ჰქონდა შესაბამისი დასკვნა და რეკომენდაციები. ამასთან, სკოლას რეკომენდაციების აბსოლუტური უმრავლესობა უკვე შესრულებული ჰქონდა. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „სანამ ხანძარი გაჩნდებოდეს“. აღნიშნულმა შპს-მ, მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად, შემდეგი სამუშაოები ჩაატარა: 1. გადამუხტა ცეცხლმაქრები, 2. სკოლის სახურავზე განახორციელა ცეცხლდამცავი

ხსნარით (ანტიპირულით) ხის კონსტრუქციების გაჟღენთვა, 3. შეცვალა სხვენში ასასვლელი ლუქები ცეცხლდამცავი მასალით, 4. შეცვალა წყლის გამფრქვევი ონკანი და შლანგი, 5. სკოლის პერსონალს ჩაუტარა ტრენინგი.

სკოლამ წარმოადგინა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაგზავნილი წერილი (შიდა რეგისტრაცია N208511) სკოლის შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელია, რომ სკოლა აშენდა 1974 წელს, ხოლო 2005 წელს საძირკვლის გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა. ექსპერტების ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში გაგზავნილი წერილი და ბიუროს მიერ მომზადებული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა N003001325 (თარიღი 28.05.25). აღნიშნული დასკვნის თანახმად, სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და შეუსაბამოა სეისმოშედეგი მშენებლობის ნორმებთან. სკოლის შენობა საჭიროებს კაპიტალურ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით და დეფექტების აღმოფხვრის მიზნით. საქვაბის შენობაზე სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება არარენტაბელურია და რეკომენდებულია დემონტაჟი.

სკოლა იცავს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოებას. სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია. ეზოს შემოსასვლელში დამონტაჟებულია რკინის კარი. უცხო პირთა გადაადგილებას აკონტროლებს ორი დარაჯი. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრებზე დამონტაჟებულია ვიდეო-სათვალთვალო კამერები, რომლებიც გამართულად მუშაობს. შენობის სართულებზე განთავსებულია საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები (ცეცხლმაქრები).

რეკომენდაცია:სკოლამ უზრუნველყოს შენობის მდგრადობასთან დაკავშირებული ერთმნიშვნელოვანი დოკუმენტის წარმოდგენა.

ინდიკატორი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი. იგი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით. სკოლას 2024-2025 სასწავლო წელს ჰყავდა ექიმი, რომელიც ახორციელებდა შესაბამის მომსახურებას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამედიცინო

პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად. ექიმი სამედიცინო კაბინეტში აწარმოებდა მისი მომსახურების ამსახველ ჟურნალს.

ამ ეტაპზე სკოლის ექიმის შტატი თავისუფალია და სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსი აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას განსაზღვრული ჰყავს ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის შესაბამისი პირი. აგრეთვე, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჰყავს პირი უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისთვის, რომელიც მეტალოდეტექტორით აკონტროლებს აკრძალული ნივთებით გამოცხადებას. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წარადგენს რჩევებს დირექტორთან სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ჯეროვნად დაცვისთვის. სკოლის შენობის უსაფრთხოების დასაცავად შერჩეულია პირი (სკოლის დარაჯი), რომლის ხელშეკრულებაში ჩაწერილია შესაბამისი მოვალეობებიც.

სკოლაში დაცულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები".

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციით სკოლაში მუდმივად ტარდება აქტივობები შემდეგ საკითხებზე: ჯანსაღი ცხოვრების წესი, ბულინგი, ძალადობა, ნაადრევი ქორწინება და სხვა. სკოლა მზადაა, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლე გადაამისამართოს მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალურ ცენტრში. სკოლას თვალსაჩინო

ადგილზე გამოკრული აქვს: მანდატურის/ უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის სამსახურეობრივი ნომერი, 112-ის ცხელი ხაზის ნომერი, განათლების სამინისტროს მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის, მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოსა და სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომრები.

სკოლას განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება გონივრული ეჭვის შემთხვევაში კანონით განსაზღვრული ღონისძიებები გაატაროს. დამრიგებლების მიერ სადამრიგებლო საათის ფარგლებში მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები ბულინგისა და ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების მიზნით და მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას სკოლის შედა და გარე პერიმეტრზე უზრუნველყოფს ორი დამლაგებელი და სოციალური პროგრამით დასაქმებული 1 მეეზოვე. სადეზინფექციო სამუშაოებისთვის საჭირო ნივთიერებები და ინვენტარი ინახება სპეციალურად ამ მიზნისთვის გამოყოფილ სათავსოში, რომელიც იკეტება. დერეფნები და საკლასო ოთახები პერიოდულად სველი წესით მუშავდება. ამავე დროს, სკოლაში ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები. სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „პროფილაქტიკური დეზინფექციის სამსახურთან“, რომელიც სკოლაში აწარმოებს დეზინფექციის, დერატაციისა და დეზინსექციის სამუშაოებს.

სკოლის ტერიტორიაზე სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილები მომარაგებულია საჭირო რესურსებით, აღჭურვილია ხელის საშრობი აპარატებით. კაბინების რაოდენობა შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას. 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში ჰიგიენური ნორმების მონიტორინგს ახორციელებდა სკოლის ექიმი, რომელიც მოსწავლეებთან ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ მუდმივად ატარებდა შეხვედრებს. სკოლას აქვს უწყვეტი წყალმომარაგება და წლის მოქმედი რეზერვუარი, რომლითაც წყლით მომარაგების პრობლემების შემთხვევაში შეძლებს ისარგებლოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვა უზრუნველყოფილია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმის მწარმოებელი, რომელიც აწარმოებს დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალს. დირექტორისა და ადმინისტრაციის კომპიუტერები დაცულია პაროლით. დაცულობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ინფორმაციის ნაწილი განთავსებულია One Drive-ზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ვებ-გვერდები ლიცენზირებულია. სკოლის ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა აქვს ინდივიდუალურ მომხმარებელს შესაბამისი პაროლით. სკოლაში მოქმედებს პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი. მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალის მონაცემების დაცვა ხორციელდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

მატერიალური სახით არსებული დოკუმენტაცია არქივდება და ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე კარადებში, რომლებიც იკეტება. გასაღებით იკეტება ოთახიც, სადაც არქივია მოთავსებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციით, სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებას და შეფასების შედეგების გამოყენებას აღნიშნული მექანიზმების გასაუმჯობესებლად. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

რჩევა: სკოლამ უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურება.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა*
2. *გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს*
3. *სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობაზე*
4. *გაგზავნილი წერილი სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის შესახებ*
5. *სახანზრო უსაფრთხოების სამასხურთან შეთანხმების წერილი*
6. *განახლებული საევაკუაციოგეგმისა და სტენდის ფოტო მასალა*
7. *სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი*
8. *ინფორმაციის გასაჯაროებაზე მშობელთა თანხმობა*
9. *საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება*
10. *მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის ბრზანება*
11. *მეტალოდეტექტორის ფოტოსურათი*
12. *შენობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის (დარაჯის) ხელშეკრულება*
13. *დამლაგებლის ხელშეკრულება*
14. *პერსონალის მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები*
15. *არქივის ფოტო*
16. *ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ*
17. *საზოგადოებრივი უსაფრთხოების წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები*
18. *სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი*
19. *ხელშეკრულება შპს „პროფილაქტიკური დეზინფექციის სამსახურთან“*
20. *ხელშეკრულება შპს ს“სანამ ხანზარი გაჩნდებოდეს“*
21. *შესრულებული სამუშაოების ინვოისი შპს „სანამ ხანზარი გაჩნდებოდეს“*
22. *შესაბამისობის აქტი შპს“სანამ ხანძარი გაჩნდებოდეს“*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სკოლის საკუთრებაშია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დაზუსტებული ფართი 25087,00კვმ. რეესტრის ნომერი: N1/5-421, დამოწმების თარიღი 12.08.2015. სკოლის შენობა სამსართულიანია. სკოლის ეზოში განლაგებულია აგრეთვე ძველი საპირფარეშოს ორი შენობა და საქვაბეს შენობა. საპირფარეშოების შენობებიდან ორივე საჭიროებს რეაბილიტაციას, ხოლო საქვაბე შენობა არარენტაბელურია და რეკომენდებულია მისი დემონტაჟი

სკოლის შენობაში განთავსებულია დირექტორის ოთახი, სასწავლო ნაწილის ოთახი, საქმის მწარმოებლის ოთახი, ბუღალტრის ოთახი, რესურს-ოთახი, ქიმიისა და ფიზიკის მცირე დამხმარე ოთახები რესურსების შესანახად, ექიმის ოთახი, რესურსების შესანახი ოთახი, დამლაგებლის ოთახი, შიდა სპორტული მოედანი და ოთახი სპორტული ინვენტარისთვის, სკოლის ეზოში არის გარე სპორტული მოედანი. სკოლას აქვს საკმარისი, ფართე და ნათელი საკლასო ოთახები. სკოლის დერეფანში პირველ სართულზე არის სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, აგრეთვე - მასწავლებლებისთვის. სკოლის შესასვლელს არ აქვს პანდუსი, თუმცა სკოლის დირექცია 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავს პანდუსის მოწყობას.

სკოლაში დიდი ნათელი საკლასო ოთახები აღჭურვილია მერხებითა და სკამებით, დაფით, კარადებით. სკამების და მერხების ნაწილი სარეაბილიტაციოა. სკოლის დირექტორს აქვს გაგზავნილი წერილი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში მერხებისა და სკამების, აგრეთვე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობილობისა და აღჭურვილობის გადაცემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, ისიც რომ სკოლის მიერ მოთხოვნილი 46 მერხი და სკამი უკვე ჩასმულია შესყიდვების ნუსხაში და სკოლა იმედოვნებს, რომ მიიღებს აღნიშნულ ინვენტარს 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე.

სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. იმის გამო, რომ სკოლის შენობა არაენერგოეფექტურია, დამატებით შეშის ღუმელებსაც იყენებენ.

სკოლის ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებსა და მხატვრულ ლიტერატურას. სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია პროფესიული ლიტერატურა პედაგოგებისთვის.

სკოლას აქვს სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების მარაგი, ხოლო სპორტული დარბაზის დამხმარე ოთახში ინახება ფეხბურთისა და კალათბურთის ბურთები, აგრეთვე სხვა სპორტული ინვენტარი.

სკოლაში წლის ბოლოს ტარდება გეგმიური ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის არსებობის შემთხვევაში (250 მოსწავლე), სკოლას გააჩნია საკმარისი რაოდენობის საჭირო ინვენტარი.

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით წარმოდენილ ვადაში
მერხებისა და სკამების აგრეთვე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწობილობისა და აღჭურვილობის შეტანა სასკოლო სივრცეში
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას დამტკიცებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლაში ფუნქციონირებს და მრავალფეროვანი რესურსებითაა მომარაგებული რესურს-ოთახი. ექიმის კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი მედიკამენტებითა და აღჭურვილობებით, სკოლის სპორტ.დარბაზის დამხმარე ოთახში ინახება მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარი. ყველა ზემოაღნიშნული მატერიალური რესურსი და საერთო სარგებლობის სივრცეები თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკაში მოქმედებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სკოლის წიგნადი ფონდი აღრიცხულია სკოლის ბალანსზე არსებულ საბიბლიოთეკო ფონდში. ბიბლიოთეკარი აწარმოებს შესაბამისად დამუშავებული რესურსების მატერიალურ კატალოგს და მკითხველის ფორმულარს. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია სათანადო წესით და მინიჭებული აქვთ საინვენტარო ნომერი.

ბიბლიოთეკაში არაა წიგნების ელექტრონული ბაზა, რადგან ბიბლიოთეკა კომპიუტერით არაა აღჭურვილი. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცეც. სკოლის ბიბლიოთეკას აქვს სამოქმედო გეგმა და ხშირად ატარებს სხვადასხვა აქტივობას წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით.

რჩევა: უზრუნველყოს სკოლამ ბიბლიოთეკა კომპიუტერით, რათა ბიბლიოთეკა წიგნების ელექტრონული ბაზით აღიჭურვოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შესასვლელში არაა პანდუსი. სკოლაში არაა ლიფტი და ამიტომ ყველა საერთო სარგებლობის სივრცე არაა ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, თუმცა სკოლის შესაბამისი მზადყოფნა მნიშვნელოვანია. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს-ოთახი. 6 სსსმ მოსწავლეს 1 სპეციალური მასწავლებელი და 1 ასისტენტი ემსახურება შესაბამისი გრაფიკით. რომელიც თვალსაჩინო ადგილზეა განთავსებული რესურს-ოთახსა და სსსმ მოსწავლეების საკლასო ოთახებში. რესურს-ოთახში მრავალფეროვანი

აქტივობებისთვის უამრავი საშუალებაა. სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ზოგადი განათლების უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია: სკოლამ ეტლით მოსარგებლე მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი გახადოს საერთო სარგებლობის სივრცეები.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებული.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, კლუბი"წიგნიერი", სადაც მოსწავლეები უამრავ პროექტს ახორციელებენ. სკოლის შიდა და გარე სპორტულ მოედანზე სპორტული შეჯიბრებები იმართება. სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას ემსახურება. სკოლაში ფუნქციონირებს თანამედროვედ აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია, რაც მოსწავლეებს განვითარებას და სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას ემსახურება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*
2. *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი*
3. *ბიბლიოთეკარის სამოქმედო გეგმა*
4. *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი*
5. *შენობა-ნაგებობის ნახაზი*
6. *ბიბლიოთეკიდან წიგნის გაცემის ჟურნალი*
7. *სსსმ მოსწავლის ქეისი*
8. *გაგზავნილი წერილი სსიპ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობისა და აღჭურვილობის გადმოცემასთან დაკავშირებით*
9. *გაგზავნილი წერილი სსიპ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში საჭირო რაოდენობის სასკოლო მერხებისა და სკამების გამოყოფასთან დაკავშირებით*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. შემუშავებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშაობის წესები, რომელსაც იყენებს სასკოლო საზოგადოება. სკოლას აქვს 17 პორტატული კომპიუტერი, 32 ლეპტოპი, 5 ლაზერული პრინტერი, 3 პროექტორი, 1 სქულბოქსი, 1 როუტერი. კომპიუტერით უზრუნველყოფილია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმის მწარმოებელი. სკოლაში პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს IT სპეციალისტი. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს ინტერნეტის არსებობას სკოლაში. ასე რომ, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

საგანმანათლებლო მიზნებისთვის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, აგრეთვე ადმინისტრაციისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და ხორციელდება სკოლაში შემუშავებული წესის მიხედვით. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტში, რომლის ფარგლებშიც აქტიურად ხდება კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი*
2. *კომპიუტერული ლაბორატორიის ფოტოები*
3. *მარშუტიზატორის (სქულბოქსის)გადმოცემის დოკუმენტაცია*
4. *ლეპტოპების გადმოცემის დოკუმენტაცია*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლამ წარმოადგინა საქმის წარმოების წესი, რომელიც აწესრიგებს დოკუმენტბრუნვის პროცესს. სკოლაში დადგენილია დოკუმენტების აღრიცხვის, გამოყენებისა და შენახვის წესი. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც Eflow-ში ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow), ხოლო განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (e School)-ში აისახება სკოლის მოსწავლეების და მასწავლებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია. e School-ში აისახება მობილობა, სტატუსის შეჩერება, ჩარიცხვა თუ ამორიცხვა.
სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, რომელშიც საგაკვეთილო პროცესზე მოსწავლეთა დასწრება და შეფასებები აისახება. ელექტრონული ჟურნალით შესაძლებელია მშობლებთან კომუნიკაციაც. სკოლა იყენებს აგრეთვე ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელს სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის, ინფორმაციის გასავრცელებლად და უკუკავშირის მისაღებად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**
   ვიზიტის დროს ექსპერტებმა ნახეს e School-ის ელექტრონული ბაზა, რომლის ყველა სავალდებულო ველები შევსებული იყო. e School-ის სისტემას სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვისთვის, პირველკლასელთა ლიმიტის განსაზღვრისთვის იყენებს. სკოლის საინფორმაციო ბარათი განახლებულია და სრულადაა ასახული მონაცემები.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. კომუნიკაცია რასურს-ცენტრის საშუალებით მყარდება. სკოლას საქმისწარმოების წესით აქვს განსაზღვრული აქვს ანგარიშებისა და შემოსულ კორესპონდენციებზე რეაგირების პროცედურები. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს ფინანსურ ანგარიშს და ყოველი წლის 10 დეკემბერს კი პარლამენტს, პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტსა და საკანონმდებლო მაცნეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიშს. საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე სკოლა დროულად რეაგირებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საქმის წარმოების წესი*
2. *სამეურვეო საბჭოს ოქმი*
3. *სკოლის პროფილი e School.emis.ge Eflow.emis.ge*
4. *საქმის მწარმოებლის ხელშეკრულება*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სიფელ ჯიმითის საჯარო სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს სკოლის ვებ-გვერდს და სოციალურ გვერდს, რომელთა საშუალებით სკოლა ყველა დაინტერესებულ პირს აწვდის ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლას ამ გზით უადვილდება უკუკავშირის მიღება. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზეა განთავსებული საინფორმაციო დაფა. მასზე მუდმივად ხდება საჯარო ინფორმაციის განახლება და სიახლეების განთავსება.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ინფორმაციის გასაჯაროებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა კლასის დამრიგებლების საშუალებით მუდმივად ამყარებს კონტაქტს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან საჭირო ინფორმაციის გაზიარების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს , რომ გაცემული ინფორმაცია მის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარია, რადგან ოფიციალური გვერდიდან ხდება. სკოლის დირექციაც პასუხისმგებლობას იღებს ოფიციალური გვერდიდან გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ყოველთვის ითვალისწინებს თემის საჭიროებებს. სკოლას მშობლებთან უკუკავშირისთვის სოციალური ქსელის გამოყენების პრაქტიკა აქვს, რასაც საქმიანობის დაგეგმვაში იყენებს. სკოლი ფოიეში განთავსებულია ანონიმური წინადადებების ყუთი, რომელშიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული თავისი ნააზრევი წარუდგინოს სკოლის დირექციას. აღნიშნულ წინადადებებს სკოლის დირექცია ითვალისწინებს. სკოლა მრავალ პროექტს ახორციელებს თემის ჩართულობით და მის საჭიროებებზე მორგებით ცდილობს დაგეგმოს აქტივობები. ამის ნათელი მაგალითია პროექტი: ნიკო კეცხოველის „სასკოლო პრემია“. სკოლის მოსწავლეებმა არა მარტო დასუფთავების აქცია მოაწყვეს, არამედ დაეხმარნენ სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს და მონაწილეობა მიიღეს სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი სკოლების პორტალზე ჩაშენებული ვებ-გვერდი, სადაც ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლა სწავლებას ქართულად ახორციელებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე skolebi.emis.ge ჯიმითის სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია სრულყოფილად.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.**

სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელიც ვაუჩერული დაფინანსებით მიღებული შემოსავლისგან შედგება და მისი ძირსითადი ნაწილი შრომის ანაზღაურებაზე იხარჯება. დირექტორი ბრძანებით ნიშნავს შესყიდვების კოორდინატორს. სკოლა იხდის კომუნალურ გადასახადებს და მცირე თანხას ხარჯავს რესურსების შეძენაზე. სკოლა ფინანსურად მდგრადია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. შემუშავებული აქვს შესყიდვების განხორციელების წესი და მოქმედებს აღნიშნული წესის შესაბამისად. ფინანსური საჭიროებების კვლევის შემდგომ, ახორციელებენ შესყიდვების გეგმის ფორმირებას. სკოლის ბიუჯეტში საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილები. სკოლაში ყოველწლიურად ხორციელდება ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი 10 დეკემბრამდე წარუდგენს სამეურვეო საბჭოს ფინანსურ ანგარიშს, რაც სამეურვეო საბჭოს ოქმითაც დასტურდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
2. სკოლის ბიუჯეტი
3. შესყიდვების წესი
4. შესყიდვების კოორდინატორის დანიშვნა ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის უფლებების დაცვა სკოლის შიდა რეგულაციების გათვალისწინებით ხორციელდება. როგორც ვიცით, მოსწავლეს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს როგორც საგანმანათლებლო პროცესში, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოსწავლეთა უფლებებს და ინტერესებს იცავს მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე შედის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში და იცავს მოსწავლეების უფლებებს. მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზებით სკოლაში სხვადასხვა ღონისძიება იმართება. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლის ფიზიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ ასევე სკოლის შენობის სართულებსა და ფოიეში მორიგე მასწავლებლები, დამრიგებლები და სკოლის დარაჯი. მოსწავლეთა ჯანმრთელობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში ჰყავთ ექიმი და ფუნქციონირებს საჭირო ინვენტარით/მედიკამენტებით აღჭურვილი ექიმის კაბინეტი. მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს და მოქმედებს სკოლის შინაგანაწესი, სადაც დაწვრილებით არის განსაზღვრული მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები. მოსწავლეებმა იციან, რა პროცედურები უნდა გაიარონ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. მოსწავლეებმა იციან, როგორ უნდა გასაჩივრდეს ესა თუ ის საკითხი და რა პროცედურებია გასავლელი. მოსწავლეთა უფლებების დაცვის ერთგვარი გარანტიაა მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულებები, სადაც დეტალურადაა გაწერილი ორივე მხარის უფლება-მოვალეობები. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები. პირადი ინფორმაციის გამოყენება, ფოტო-ვიდეო მასალის გაზიარება ხდება მშობელთა თანხმობით, სკოლასა და მშობელს შორის

დადებული თანხმობის დოკუმენტის საფუძველზე. სკოლის ფიზიკური გარემო ისეა მოწყობილი, რომ მოსწავლეებს თანაბარი შესაძლებლობა და უფლება აქვთ, გამოიყენონ სკოლის საერთო სივრცეები, მაგალითად: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული მოედანი/დარბაზი და ა.შ. სკოლაში ასევე დაცულია სსსმ მოსწავლეების უფლებები. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეებისთვის, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით, ხარისხიანი განათლების მიცემას. სასწავლო წლის დასაწყისში მტკიცდება ინკლუზიური განათლების განვითარების სამოქმედო გეგმა. დგება ისგ ჯგუფი, იქმნება ისგ გეგმები თითოეულ საგანში. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს-ოთახი, სადაც უამრავი თვალსაჩინო და დამხმარე რესურსია შექმნილი, სსსმ მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, მათი უნარების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია მთლიანად სასკოლო საზოგადოებასთან. ამის დასტურია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, რომელიც გაზიარებულია სოციალური ქსელის საშუალებით და სკოლის ვებ-გვერდზე skolebi.emis.ge. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ასევე, სასწავლო წლის დასაწყისში შინაგანაწესის გაზიარება და განხილვა ხდება კლასის ხელმძღვანელების მხრიდან როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მშობლებისათვის -- მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ორივე მხარის უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.შინაგანაწესი
2.საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი
3.სამეურვეო საბჭოს ოქმი N 9
4.ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
5.სსსმ მოსწავლის პორტფოლიო
6.სსსმ მოსწავლის ისგ გეგმა
7.მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
8.შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
9.ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის
10.მშობლის თანხმობის ფორმა
11.მშობელთა კრების ოქმი N 1 (შინაგანაწესის გაცნობა)
12.მშობელთა კრების ოქმი N 1 (განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის გაცნობა)
13.დარაჯის ხელშეკრულება
14.სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლის რესურსებით სარგებლობის წესი.
15.სსიპ სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები
16.უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად აქვს განსაზღვრული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 07 მარტის N 02-24 ბრძანების საშუალებით. აღნიშნულ წესში დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის სტატუსის მოპოვება - პირველ კლასში ჩარიცხვა, მოსწავლის სტატუსის არმქონე პირის სკოლაში

ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მოპოვების შესახებ ინფორაცია, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობის შესახებ ინფორმაცია, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და სტატუსის აღდგენის პროცედურები. კლასის ხელმძღვანელების მხრიდან ხდება აღნიშნული დოკუმენტის გაზიარება, როგორც სკოლის მოსწავლეებისთვის, ასევე მათი მშობლებისათვის მშობელთა კრებებზე. კლასის ხელმძღვანელები ასევე აფრთხილებენ მშობლებს გაცდენების შემთხვევაში, ექსტერნის გამოცდის ან სტატუსის შეჩერების თაობაზე. კლასის ხელმძღვანელები სამსახურეობრივი ბარათის საშუალებით სკოლას აწვდიან ინფორმაციას მოსწავლის ზედიზედ 14, 24, 45 დღიანი გაცდენის შემთხვევაშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს მათ მიერ დამტკიცებული დოკუმენტის საშუალებით, რომელიც ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №04/ნ-ს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“. დაწესებულებაში ვიზიტისას შემოწმდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდი, რომელსაც სკოლა კანონის შესაბამისად ახორციელებს. კლასისა თუ საფეხურის დაძლევისას იმართება პედ.საბჭო, დგება ოქმი და აღნიშნული ოქმის საფუძველზე იწერება ბრძანებები კლასისა თუ საფეხურის დაძლევის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში არსებობს პრაქტიკა -- სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების და პროგრამების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სასკოლო საზოგადოებას. წლის დასაწყისში, მშობელთა კრებებზე, შეხვედრებზე, სოციალური ქსელის თუ ვებ-გვერდის საშუალებით, ხდება სკოლის შინაგანაწესის და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა/გაზიარება. პირველ კლასში შემსვლელი მოსწავლეებისთვის და მათი მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის იმართება შეხვედრა, სადაც სკოლა აცნობს სასკოლო გარემოს, მათი სკოლის სპეციფიკას, სკოლის მახასიათებლებს. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სოფელში არსებულ საბავშვო ბაღთან. მეოთხე კლასში სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს მეორე უცხოური ენის

არჩევას, მშობელთა კრებებზე ხდება მეორე უცხოური ენის არჩევა. ასევე, საშუალო საფეხურზე აქვთ საშუალება, არჩევითი საგანი აირჩიონ. სკოლა აწვდის იმ არჩევითი საგნების ჩამონათვალს, რისი შეთავაზებაც შეუძლია და მშობელთა კრებებზე ხდება ასევე საგნის არჩევა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჰყავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. აღნიშნულ ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელები აზიარებენ მშობელთა კრებებზე, კლასის დახურულ ჯგუფებსა და პირად საუბრებში, ასევე -- სკოლის სოციალურ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.მოსწავლეთა ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი
2.სამსახურეობრივი ბარათი დამრიგებლის (მოსწავლის ზედიზედ 14 დღის არ გამოცხადების შესახებ)
3.სამსახურეობრივი ბარათი დამრიგებლის (მოსწავლის ზედიზედ 24 დღის არ გამოცხადების შესახებ)
4.სამსახურეობრივი ბარათი დამრიგებლის (მოსწავლის ზედიზედ 45 დღის არ გამოცხადების შესახებ)
5.ჩარიცხვის ბრძანება
6.მშობელთა კრების ოქმი უცხოური ენის არჩევაზე
7.მშობელთა კრების ოქმი (მესამე უცხოური ენის არჩევაზე)
8.სასკოლო სასწავლო გეგმა
9.საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება N 2-76
10.სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი
11.ბრძანება N 2-32 სსიპ სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლაში საინფორმაციო პორტალის მართვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
12.2024-25 წლის სასკოლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი პირველკლასელთა ადაპტაცია, სსსმ მოსწავლის ადაპტაცია, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია და ა.შ. სწავლის დაწყებამდე ხდება პირველკლასელთა სტუმრობა და მასწავლებლებთან შეხვედრა. მოსწავლეს ადაპტაციაში ეხმარებიან: კლასის ხელმძღვანელი, საგნის მასწავლებლები, დირექციის წარმომადგენლები და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი ადამიანი. სსსმ მოსწავლის შემთხვევაში კი ადაპტაციის პროცესში ჩართულია ასევე სპეც.მასწავლებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სასწავლო წლის დაწყებისთანავე პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნას ცდილობს, რითაც ასევე ეხმარება მოსწავლეებს ადაპტაციის პროცესში. კლასის ხელმძღვანელები აწყობენ მშობლებთან შეხვედრებს, აგროვებენ დეტალურ

ინფორმაციას მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და უნარების შესახებ. მეხუთე კლასში გადასული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით, კლასის ხელმძღვანელი და საგნის მასწავლებლები დაწყებითის პედაგოგებთან გადიან კონსულტაციას, რის შედეგადაც ეცნობიან განმავითარებელ შეფასებებს, აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლეთა შესაძლებლობების და უნარების შესახებ. მიღებული ინფორმაცია, რა თქმა უნდა, დადებითად აისახება ადაპტაციის პროცესზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო მხარდაჭერას და კონსულტაციებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში დანერგილია ელექტრონული ჟურნალი და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს საშუალება აქვს, მუდმივად ადევნოს თვალი მისი შვილის აკადემიურ მიღწევებს, სკოლა პერიოდულად ახდენს მშობელთა ინფორმირებას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სოციალური ქსელის, სატელეფონო საუბრების საშუალებით, რა თქმა უნდა ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის სრული დაცვით. სკოლა სემესტრის დასაწყისშივე აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს და მათ მშობლებს სემესტრული გამოცდის შესახებ. ასევე, თუ რომელიმე მოსწავლეს არ აკმაყოფილებს რომელიმე საგანში მიღებული წლიური შეფასება, გამოცდის საშუალებით ეძლევა მას ქულის ამაღლების საშუალება. სკოლა ექსტერნის და საშემოდგომო გამოცდის შემთხვევაში მოსწავლეებს სთავაზობს ინდივიდუალურ კონსულტაციებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. დირექცია და კლასის ხემძღვანელები მშობლებს დროულად აწვდიან ინფორმაციას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: თითოეულ საგანში გაცდენების ზღვრული რაოდენობა, სემესტრული, საშემოდგომო, ექსტერნის გამოცდები, მოსწავლის მობილობის შეზღუდვა. სკოლა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აწვდის ინფორმაციას, რომ ნებისმიერი კლასის მოსწავლის მობილობა შეწყვეტილია 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, ასევე XII კლასის პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეზღუდება მობილობის უფლება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა არის ადგილი, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ, ფორმალურ განათლებასთან ერთად, არაფორმალური განათლებაც მიიღონ. სკოლა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანების საშუალებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას არაფორმალური განათლების პროცესში. სკოლის დირექცია ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობას და მათი ინიციატივების წახალისებას. თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლაში სხვადასხვა აქტივობა ხორციელდება, მათ შორის იყო ვიქტორინა, რომელიც ჩატარდა კლასებს შორის. სკოლის ბიბლიოთეკაში აღნიშნეს წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები: „ეკო-კლუბი“, „წიგნიერი“.

არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლაში განხორციელდა შემდეგი პროექტები და აქტივობები:

- ნიკო კეცხოველის პროექტში ,,სასკოლო პრემია“, რომელიც 2015 წელს დაარსდა CENN-ის მიერ, პროექტის - ტყის მდგრადი მართვა საქართველოში -ფარგლებში, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის /Austrian Development Cooperation ფინანსური მხარდაჭერით. კონკურსის თანაორგანიზატორები არიან: საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს პარლამენტი;
- ეკოსკოლების საერთაშორისო პროგრამა, რომელსაც წარმოადგენს გარემოსდაცვითი ორგანიზაცია ,,დავიცვათ საქართველოს სისუფთავე''. პროექტი ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერითა და ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- NASA-ას მიერ ორგანიზებული პროექტი: GLOBE 2024 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის ხე/ფენოლოგიის კამპანია, რომელიც საქართველოში ხორციელდება CENN-ის ორგანიზებით;
- საერთაშორისო პროექტი: გარემოსდაცვითი განათლების ფონდის (FEE) მიერ ინიცირებული

გლობალური მოქმედების დღეები;

- საერთაშორისო პროექტი: გლობალური დღეების კამპანია LiterLessPlus;
- საერთაშორისო პროექტი: კლიმატის მოქმედების დღეს, სახელად ,,შემოდგომის მარათონი დრო იწურება" არაჩვეულებრივი 7,767 კმ-იანი, 38 დღიანი უწყვეტი ესტაფეტა დაიწყო გლაზგოდან, შეტყობინება დაილუქა ესტაფეტის ჯოხში, რომელმაც მოიარა 18 ქვეყანა და დასრულდა შარმ ელ-შეიხში;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტი ,,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი“;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებული კონკურსი “დიდგორელი”;

- ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ ინიცირებული ესეების კონკურსი EBSCO Explora-ს ბაზაზე;
- საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების მიერ ინიცირებული კონკურსი „მისწერე წერილი ბიბლიოთეკას“;
- გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ინიცირებული პროექტი: „ასე ნანატრი თავისუფლება“;
- გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ინიცირებული პროექტი: ,,გააცოცხლე შენი სკოლის ისტორია“;
- გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენრის მიერ ინიცირებული ესეების კონკურის “წერილი დედას”;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული პროექტი: “რას ამბობს შავი ზღვა”;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ასევე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროების მიერ განხორციელებული ერთობლივი პროექტი “სპორტული ლიგის გათამაშება”;
- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ინიცირებული პროექტ ,,მმართველობის რეფორმის ფონდის (GRF) ფარგლებში ინიცირებული ესეების კონკურსი თემაზე: ,,ჩემი მოხალისეობრივი როლი გარემოს დაცვაში”;
- გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი , საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული სასკოლო კონკურსი: „ჩემი გალაკტიონი“;
- ვიქტორინა: ,,BRAIN POWER“;
- ლიტერატურული ვიქტორინა: “რა? სად? როდის?”;
- მუსიკალურ ლიტერატურული კომპოზიცია: “სიყვარული გადაარჩენს ამ სამყაროს”;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა მხრიდან გაცემულ უკუკავშირს. სკოლაში ნებისმიერი აქტივობა და ღონისძიება სწორედ მათი ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება. დაინტერესებულ პირებთან უკუკავშირის მიღების და ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ხშირად იმართება საუბრები. ზოგჯერ გამოკითხვა ანონიმურადაც ხდება. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობას და ღონისძიებებს, მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს საინიციატივო ჯგუფის შექმნას, რომელიც შეიმუშავებს კითხვარებს როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლებისთვის, რათა მათგან უკუკავშირის მიღებას უფრო ორგანიზებული სახე მიეცეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ტრანზიციის დებულება
2.სადამრიგებლო პროგრამა
3.შინაგანაწესი
4.რემედიაცია,რეფლექსია,მშობლის ნებართვა
5.საქმისწარმოების წესი
6.არაფორმალური განათლების მტკიცებულებები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით, სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება. აღნიშნული საკითხები გაწერილია სადამრიგებლო პროგრამებში. დამრიგებლები კლასის საათის ფარგლებში ესაუბრებიან მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვისა და სხვადასხვა პროფესიის მნიშვნელობაზე. სკოლას გააჩნია მშობელთა ჩართულობით სხვადასხვა აქტივობის ჩატარების პრაქტიკა. მაგ: იწვევენ სხვადასხვა პროფესიის მქონე მშობლებს, რომლებიც ესუბრებიან მოსწავლეებს აღნიშნულ პროფესიაზე. სკოლა უზრუნველყოფს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების მიერ ინიცირებული საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას. სკოლაში სტუმრად ბრძანდებოდნენ თავდაცვის სამინისტროს და კადეტთა კორპუსის წარმომადგენლები, რომლებმაც გამართეს საინფორმაციო შეხვედრა უფროსკლასელებთან. სკოლა ასევე აქტიურად თანამშრომლობს კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯ „აისთან“, რომელსაც ხშირად სტუმრობენ უფროსკლასელებთან ერთად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს და მათ მშობლებს სხვადასხვა უნივერსიტეტის პროგრამების შესახებ. ამას გარდა, კლასის ხელმძღვანელების საშუალებით უგზავნის ლინკებს, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ სხვადასხვა უნივერსიტეტის შეხვედრებს დაესწრონ ონლაინ-ჩართვის მეშვეობით. კლასის ხელმძღვანელების, განსაკუთრებით საფეხურის დამამთავრებელ კლასებთან ატარებენ კლასის საათებს, სადაც განიხილავენ სხვადასხვა პროფესიას და კარიერული განვითარების საკითხებს. სკოლა მშობლებს კრებებზე, ასევე პირადი საუბრებისას აწვდის ინფორმაციას შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომ კარიერული განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. საბაზო საფეხურის დასრულებისას მოსწავლეებმა/მშობლემა იციან, რომ სწავლის გაგრძელება შეუძლიათ პროფესიულ სასწავლებელში, ხოლო საშუალო საფეხურის დასრულებისას კლასის ხელმძღვანელები, დირექციის წარმომადგენლები ეხმარებიან მოსწავლეებს ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ მომზადებული სააბიტურიენტო ცნობარის დამუშავებაში და რეკომენდაციებსაც აძლევენ უფასო ფაკულტეტების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა ყოველთვის დაინტერესებულია თავისი კურსდამთავრებულების წარმატებით და ინდივიდუალური საუბრებით. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით არკვევს, ვინ რომელ უნივერსიტეტში, რომელ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, აიღო თუ არა გრანტი, ვინ ჩაირიცხა უფასო ფაკულტეტზე. მომავალში სკოლა გეგმავს, ორგანიზებულად განახორციელოს გამოკითხვა. მიღებული შედეგების დამუშავების და ანალიზის შედეგებს სკოლა გაითვალისწინებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და გარკვეულ დახმარებას გაუწევს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს კარიერის დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კლასის საათის ოქმი პროფესიის არჩევაზე
2.სადამრიგებლო პროგრამა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში არის ძალიან მნიშვნელოვანი. სკოლა ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ, ემოციურ განვითარებას და ყველანაირად ცდილობს მათ დახმარებას სასკოლო საზოგადოებაში ადაპტაციის პროცესში. სკოლა წლის დასაწყისში ქმნის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმას. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება ისგ ჯგუფი. სკოლის დირექტორის ბრძანებით კი იქმნება „ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი“. სკოლაში ამ ეტაპზე არის 6 სსსმ მოსწავლე, ერთი სპეცმასწავლებელი და ერთი სსსმ მოსწავლის ასისტენტი. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაკეთებული დასკვნის და საგნის მასწავლებლების მიერ შეფასებული მიღწევის დონის შესაბამისად, შედგენილია ისგ გეგმები. მასწავლებლები ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესისთვის სსსმ მოსწავლის დავალებების ადაპტირებას. სკოლაში სსსმ მოსწავლეებისთვის არსებობს ინდივიდუალური განრიგი, სადაც გაწერილია რესურს-ოთახში მუშაობის გრაფიკიც თითოეული მოსწავლისთვის. სკოლის რესურს-ოთახი აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების მხარდასაჭერად სრულიად სასკოლო საზოგადოებაა გაერთიანებული. მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეების დროული იდენტიფიცირება. როდესაც საგნის მასწავლებელი რომელიმე მოსწავლეს შეამჩნევს აკადემიურ სირთულეებს, ან დამატებითი დახმარების საჭიროებას, ამის შესახებ პირველ რიგში აცნობებს სკოლის დირექციას და სპეციალურ მასწავლებელს. სპეციალური მასწავლებელი რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში აკვირდება მოსწავლეს. დაკვირვების შედეგად თუ ნამდვილად გამოიკვეთება სირთულეები, ატყობინებს მშობელს და მშობლისგანაც ისმენს ბავშვის თავისებურებებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციას. სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს და მოსწავლის სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აცნობს საგნის მასწავლებელსა და

მშობელს. ამის შემდეგ, მოსწავლის შეფასების მიზნით, მოსწავლის მშობლის განცხადების საფუძველზე, სკოლა მიმართავს განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს. დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელშიც სკოლის სპეც. მასწავლებელი, საგნის მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელი და მოსწავლის მშობელია გაერთიანებული. შედეგად, თითოეულ საგანში ისგ გეგმები შემუშავდება. წლის განმავლობაში ისგ ჯგუფი ოთხჯერ იკრიბება. შეხვედრაზე განიხილავენ მოსწავლის საჭიროებებსა და მიღწევებს. საჭიროების შემთხვევაში საგნის მასწავლებლები ახორციელებენ ისგ გეგმების მოდიფიცირებას. დირექტორის ბრძანებით იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს უკეთებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესს. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო ყველანაირი რესურსით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
2.ბრძანება N 2-11 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შესახებ
3.ისგ გეგმა
4.მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
5.შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
6.ისგ ჯგუფის ოქმი
7.სპეცმასწავლებლის ანგარიში
8.ინტერვენციის გეგმა
9.სსსმ მოსწავლის პორტფოლიო
10.ტრანზიციის დებულება
11.სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითის საჯარო სკოლის რესურსებით სარგებლობის წესი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

როგორც თვითშეფასებაში აღნიშნავენ, სკოლა ამ ეტაპზე ვერ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას. თუმცა, სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს, დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ, სკოლა გეგმავს, მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

როგორც თვითშეფასებაში აღნიშნავენ, სკოლა ამ ეტაპზე ვერ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას. თუმცა, სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს, დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ, სკოლა გეგმავს მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

როგორც თვითშეფასებაში აღნიშნავენ, სკოლა ამ ეტაპზე ვერ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას. თუმცა, სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს, დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ, სკოლა გეგმავს მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, პრინციპებს, რომელთაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, დაგეგმვას, დანერგვას, მონიტორინგს, შეფასებას, განახლებას და რევიზიას, აგრეთვე პროცესში ჩართულ მხარეებს და საზოგადოების ინფორმირების საშუალებებს. სასკოლო კურიკულუმების შეიმუშავებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და პოზიტიურ სასწავლო გარემოს შექმნას.

კათედრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, კათედრებზე განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე ქმნიან ახალ კურიკულუმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმს ქმნიან კათედრებზე, კათედრის წევრების აქტიური ჩართულობით და ურთიერთთანამშრომლობით. კურიკულუმის შემუშავებამდე ხდება გასული წლის გამოცდილების გაზიარება, როგორც კათედრის წევრებს, ასევე, კათედრათა შორის. მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინება ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმებში ასახვას. კლასის ხელმძღვანელებს

აქტიური კომუნიკაცია აქვთ მშობლებთან (მშობელთა კრებების, სოციალური ქსელების, პირადი საუბრების, კომპლექსური ბარათების გამოყენებით.) და მათ ინტერესებს ასახავენ კურიკულუმის შედგენის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება: მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე, სკოლის ადმინისტრაცია. ყოველი წლის ბოლოს ხორციელდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება, თანხმდებიან კურიკულუმებში შესატან თემებზე, საკითხებზე, კომპლექსურ დავალებებზე, რესურსებზე, შეფასების რუბრიკებზე. კოლეგები შეხვედრის დროს ერთმანეთს უზიარებენ მოსწავლეთა მიღწევებს, შედეგებს, გამოწვევებს და ყოველივე ამის შემდგომ ხდება კურიკულუმების შემუშავება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია დაინტერესებული ადამიანებისთვის. მაგალითად: საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალება და სხვა. კლასის ხელმძღვანელები წლის დასაწყისში მშობლებს უზიარებენ და აცნობენ საჭირო მასალებს, ასევე აწვდიან ინფორმაციას წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების და ღონისძიებების შესახებ, უზიარებენ და აცნობენ შეფასების რუბრიკებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ასევე აღინიშნა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, გარდა მშობელთა კრებებისა, გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია და მშობელთა დახურული ჯგუფები/ჩათები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2.სასკოლო სასწავლო გეგმა
3.მშობელთა კრების ოქმი კურიკულუმის გაცნობასთან დაკავშირებით

4.მობელთა კრების ოქმები (მეორე უცხოური ენის არჩევასთან, არჩევითი საგნის არჩევასთან დაკავშირებით)
5.კათედრის სხდომის ოქმები
6.შემუშავებული კურიკულუმები კლასების და საგნების მიხედვით
7.კომპლექსური დავალებების ნიმუშები/რეფლექსია
8.სადამრიგებლო პროგრამა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები. შემუშავებული კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. სამივე საფეხურზე შექმნილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება კომპლექსურ დავალებებს და ითვალისწინებს, რა შეძლეს მოსწავლეებმა ამა თუ იმ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრეს და რამდენად მიუახლოვდნენ ისინი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს კონკრეტულ თემაში, კონკრეტული საკითხების შესწავლისას. სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს თემები და საკითხთა კლასტერები, თუმცა თემების სახელწოდებებში ზოგჯერ ფიგურირებს სახელმძღვანელოს თავების სახელწოდებები. კურიკულუმებში წარმოდგენილია საკმაოდ კარგი კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები. მოსწავლეთა ნაშრომების, მათი ანალიზის, მასწავლებლების რეფლექსიების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ეს კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზაა. ჩანს, რომ ისინი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე. დავალებები ისეა

	შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია, დავალება შეიცავს გამოწვევას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან ფანტაზის განვითარებას. **რჩევა:** საბუნებისმეტყველო საგნების და ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში სავალდებულო თემების სახელწოდებები უნდა იყოს აღებული ესგ-დან.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე საზ. მეცნიერებების მიმართულებით საგნის ,,მე და საზოგადოების" (მე 3-მე 4 კლასი) საგნის ფარგლებში შექმნილი კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, ძირითადად, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებები: თემაში ერთი შემოქმედებითი დავალება. მე-5 - მე -6 კლასის ჩვენი საქართველოს საგნის კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კონკრეტული პროდუქტის სახით. **საბაზო და საშუალო საფეხურზე** საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები: ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის მიმართულებები, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ძირითადად სწორად იყო შევსებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შემოქმედებითი დავალებების იდეები და კონტექსტ-მაგალითები, შესაბამისი რესურსებით. გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში საბაზო საფეხურის ყველა კლასში დაგეგმილია შემოქმედებითი დავალებები (მინიმუმ 1 ან 2 შემოქმედებითი დავალება), თუმცა თემაში ყველა ცნება ხშირ შემთხვევაში არ მუშავდება. იყო რიგი უზუსტობებიც: საკითხები გაერთიანებულია (საკითხთა კლასტერი) მექანიკურად. თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ

	სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. მათ წარმოადგინეს შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების მთლიანობაში წარმოჩენას, რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. კურიკულუმის დახვეწა მიმდინარე პროცესია. **რჩევა:** სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმი გადაიხედოს და საკითხების დაჯგუფება კლასტერებად მოხდეს შინაარსის მიხედვით.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესაბამისად და მასწავლებლებთან, გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებზე მუშაობისას ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის შემოქმედებით პროდუქტის მაგალითებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებში არსებულმა მოცემულობამ და პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურიკულუმის შექმნასა და განხორციელებაში ჩართული ყველა მხარე ორიენტირებულია მოსწვლეთა შედეგებსა და საჭიროებებზე. ამასთან ერთად, დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა რომ უცხოური ენების (ინგლისური, რუსული, გერმანული) კათედრის წევრების მიერ შემუშავებული ყველა კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ და მის ინტერესებზე, პროცესის,

	დაგეგმვასა და განვითარების გზას. ფოკუსირება ხდება გრძელვადიან მიზნებსა და სამიზნე ცნებებზე. ინდივიდუალური მიდგომებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში. **რჩევა:** მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე, დაასახელეს მაგალითები, აქტივობები, თუმცა კარგი იქნებოდა კურიკულუმებშიც იყოს გაწერილი დიფერენცირებული სწავლების მიდგომები (კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ან კურიკულუმი იძლეოდეს არჩევანს მოსწავლეთათვის კომპელექსური დავალების მხრივ, შეთავაზებული იყოს სულ მცირე ორი ვარიანტი). სასურველია, ასევე ყველა კურიკულუმში იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. დაწყებითი საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა -სწავლების პროცესში. მუსიკის და ხელოვნების საგნების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია მართებულად, ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეები .
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ იმ ძირითად მოთხოვნებსა და პრინციპებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას და უზრუნველყოფს მასზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. კურუკულუმებში შეტანილია საინტერესო შემოქმედებითი დავალებები. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს, როგორ ითვალისწინებენ კურიკულუმის შედგენისას მოსწავლეთა ინტერესებსა და უნარებს.

მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმები მოსწავლეზეა ორიენტირებული. ეს აისახება თემატურ მიმართულებებში, საკითხთა კლასტერებში, კომპლექსურ დავალებებში, საგანმანათლებლო აქტივობებსა და რესურსებში, რომლებიც მოსწავლეთა არსებული ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებას ემსახურება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები სრულად აცნობიერებენ სასწავლო გეგმის მნიშვნელობას, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების მთავარ ინსტრუმენტს. ისინი ეფექტურად მუშაობენ გრძელვადიან მიზნებზე და იყენებენ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რაც მოსწავლეებს ეხმარება არა მხოლოდ ცოდნის დაგროვებაში, არამედ მის სიღრმისეულ გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში. გასაუბრების დროს მასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაციები მცირე ხარვეზების გამოსასწორებლად. **რჩევა:** სასურველია, ყველა კლასის სასწავლო გეგმა გადაიხედოს და მოხდეს თემების ესგ-ს მიხედვით განსაზღვრა. რათა სასწავლო პროცესი უფრო მიზანმიმართული და თანმიმდევრული გახდეს.
სპორტი	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნას მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს.

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. მასში განხილული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება. **რჩევა** - პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით შეადგინონ და დახვეწონ კლასის კურიკულუმები, მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, კონტექსტ მაგალითები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან, თუმცა ზოგიერთ საგანში გაიცა რჩევა იმასთან დაკავშირებით, რომ თითოეულ თემაში მოხდეს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, დაემატოს კომპლექსური /შემოქმედებითი ტიპის დავალებების რაოდენობა და დაიხვეწოს კურიკულუმების სტრუქტურა . (მაგ : სახელმწიფო ენის პირველი კლასის კურიკულუმის წინასაანბანო პერიოდში არ ჩანს სამიზნე ცნება ,,წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა“ , ხოლო მითითებულია სამიზნე ცნება ,,გრამატიკა“. სახელმწიფო ენის მე-2 და მე-3 კლასის კურიკულუმის ცხრილში კონტექსტ-მაგალითების, ხოლო მე-4 კლასის კურიკულუმში საკითხების სვეტებში რეალურად ჩამოთვლილია ძირითადი ტექსტები.) მე-3 და მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების თემების სვეტში სავალდებულო თემების ნაცვლად გაწერილია სახელმძღვანელოს თავების დასახელებები. მათ შორის, გამოთხოვილ დოკუმენტებში მე-3 და მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში ისევ იკვეთება, რომ სავალდებულო თემი უგულებელყოფილია, მაგ. მე-4 კლასში თემის, ,,დედამიწა’ ნაცვლად გაწერილია თემა ,,ცვლილებები სივრცესა და დროში“)

	რჩევა: სახელმწიფო ენის პირველ კლასის კურიკულუმში წინასაანბანო პერიოდში დაემატოს სამიზნე ცნება ,,წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა“ , ხოლო სამიზნე ცნება ,,გრამატიკა“, რომელიც საერთოდ არ მუშავდება პირველ კლასში, ამოიღონ კურიკულუმიდან. **რჩევა** : ქართული ენის კურიკულუმებში საკითხი თანხვედრაშია დავალების იდეასთანაც. მათი შეტანა ერთად, საკითხების სვეტშიც შეიძლება. ხოლო ძირითადი/დამხმარე ტექსტები და კონტექსტმაგალითები უნდა იყოს შეტანილი გრაფაში ტექსტი/ტექსტები. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში დავალებების სვეტში კონკრეტულად ის შემოქმედებითი ბუნების დავალებები ეწეროს, რომელიც რელურად ხორციელდება. **რჩევა:** ბუნებისმეტყველების კურიკულუმში სავალდებულო თემები სწორად განისაზღვროს ყველა კლასში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზნებად წარმოდგენილია სწავლის შედეგები და საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნებები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირი ერთმანთთან, ქვეცნებებსა და საკითხებთან. თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ თემაში ყველა სამიზნე ცნება არ აქტიურდება. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. მასწავლებლებს შესრულებული აქვთ მოსწავლეთა მიღწევების

	დიაგნოსტირება, ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსია, შექმნილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება კომპლექსურ დავალებას და ითვალისწინებს, თუ რა შეძლო ამა თუ იმ მოსწავლემ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრა და რამდენად მიუახლოვდა ის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ამგვარად, შემუშავებული კურიკულუმები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. **რჩევა:** ყურადღება მიექცეს თითოეულ თემაში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი ჯგუფის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს, ძირითადად, გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, შემოქმედებითი დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას.
უცხოური ენები	უცხოურ ენებში, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით აზროვნებას., შესაბამისად კურიკულუმი ხელს უწყობს უცხოური ენების პრაქტიკულ გამოყენებას რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, რაც ასახავს სკოლის ღირებულებებს. სკოლა ყურადღებას

	უთმობს ინდივიდუალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და სწავლის მარავლეფროვან სტილს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის მოქნილობას და ეფექტურობას სასწავლო პორცესში.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას, განსაზღვროს მოსწავლის მაქსიმალური ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებასაკენ, რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. შესაბამისად, კურიკულუმი პასუხობს ესგ-ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ნამდვილად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მათში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, თემები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.
მათემატიკა	კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები სრულად არის გათვალისწინებული, რაც აისახება ყველა ძირითად კომპონენტში: თემები, საკითხები, შუალედური და გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგეგმილია ისეთი აქტივობები (ძირითადად შემოქმედებითი დავალებები), რომლებიც ხელს უწყობს ფუნქციური კომპონენტური უნარების განვითარებას, როგორიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა და ნებელობა.

სპორტი	სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებასა და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად დაფუძნებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე და ითვალისწინებს სავალდებულო თემებს. სწავლების პროცესი ცოდნის აგების პრინციპზეა დაფუძნებული. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობა. **რჩევა** - მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები დაფუძნებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, ცოდნის აგების პრინციპზე და ითვალისწინებს ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას, მიზანშეწონილია, რომ კურიკულუმში უფრო მკაფიოდ აისახოს საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნები. კონკრეტულად, რეკომენდებულია, კურიკულუმში დეტალურად იყოს გაწერილი თითოეული თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხვები და შესაბამისი კონტექსტების მაგალითები. ეს შეაძლებინებს მასწავლებლებს, სწავლის პროცესის უფრო მიზნობრივად დაგეგმვასა და განხორციელებას, მოსწავლეებს კი — უფრო ღრმა და თანმიმდევრული სწავლის გამოცდილების მიღებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნების: ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები. სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებსა და ინდიკატორებს. ამის დასტურია ე.წ. კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტებით სწავლება. თუმცა, კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებებიდან მხოლოდ ნაწილი განხორციელდა. პედაგოგების ინტერვიუდან იკვეთება, რომ დავალებები გაწერეს,

	მაგრამ შემდეგ მოსწავლეთა მზადყოფნისა და საჭიროებების მიხედვით ახორციელებდნენ სწავლების პროცესში. **რჩევა**: სასურველია კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული. იკვეთებოდეს კურიკულუმში, რომ ყველა სამიზნე ცნება მუშავდება თითოეულ თემაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები შესაძლებელია შესრულდეს იმ რესურსების გამოყენებით, რაც მითითებულია კურიკულუმებში. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც მეტ-ნაკლებად იძლევა საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების საშუალებას, თუმცა, დაგეგმილი აქტივობებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები საშინაო ცდებში იყენებენ იაფ და ხელმისაწვდომ რესურსსაც, რომელთა გამოყენებაც ლაბორატორიის რესურსებთან ერთად შესაძლებელს ხდის სწავლის შედეგების მიღწევას. აგრეთვე, სკოლას აქვს კომპიუტერები და სათანადო ელექტრონული აღჭურვილობა, ამდენად ხელმისაწვდომია ელექტრონული რესურსებიც. **რჩევა:** ლაბორატორიის არასრულყოფილების გამო, მეტად ჩართონ პრაქტიკაში იაფი და ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით ცდების და ექსპერიმენტების ჩატარება, ასევე გაამრავალფეროვნონ ელექტრონული რესურსების ჩამონათვალიც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმებით. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ.გეგმები, ადაპტირებული შემოქმედებითი დავალებები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ, შემოქმედებითი (კომპლექსური) დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. რესურსები ასახულია კურიკულუმებში.
უცხოური ენები	კურიკულუმების შესწავლისა და უცხოური ენების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მოსწავლეთა სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ბეჭდურ რესურსებთან ერთად აქტიურად იყენებენ ციფრულ რესურსს, რაც კურიკულუმშიც ასახულია. შესაბამისად, კურიკულუმში მოცემული ყველა რესურსი ემსახურება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, სუსტი მხარეების დაძლევას, სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას, მოსწავლეთა პროდუქტიულობის ზრდასა და მოტივაციის ამაღლებას.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში ასახულია მრავალფეროვანი რესურსი (სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ელ. რესურსები), რაც უზრუნველყოფს ესგ-ით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის პროგრესზე. ამას ადასტურებს წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მრავალფეროვანი რესურსი (აუდიო-ვიდეო, ვიზუალური).

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული საგანმანათლობლო რესურსებიდან მთავარი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები, მაგრამ გარდა ამისა, მითითებულია ელექტრონული რესურსებიც, ვიდეო თუ აუდიო მასალაც. ასევე, მატრიცებში, რომლებიც თან ახლავს კურიკულუმებს, წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც საჭიროა ამა თუ იმ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისას. თითოეული მათგანის გამოყენება ნამდვილად დაეხმარება მოსწავლეებს, მიაღწიონ სასურველ შედეგს.
მათემატიკა	სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე მრავალფეროვანი დამხმარე ონლაინ და მატერიალური რესურსები. ონლაინ რესურსების მაგალითებია: "ტელესკოლის" ვიდეო-გაკვეთილები, "ხანის აკადემიის" გაკვეთილები და ტესტები, პროგრამა Geogebra და სხვა. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები თავად ქმნიან დამხმარე ციფრულ რესურსებს, ძირითადად PowerPoint-ის პრეზენტაციების სახით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სწორედ ასეთი მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს თემებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას და ცოდნის მრავალმხრივ, სიღრმისეულ ათვისებას.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია ძირითადი რესურსი, ისე ელექტრონული რესურსი, ასევე მოსწავლეთა ხელით შექმნილი პროდუქტები. მათი გამოყენებით მოსწავლე უკეთ აღიქვამს შესასწავლ საკითხს. მოცემულ რესურსებზე დაყრდნობით მოსწავლეს უიოლდება მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი.

	რჩევა - თითოეული თემის დამუშავებისას აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით. დამატებითი რესურსები გამოყენებული უნდა იყოს როგორც უშუალოდ მასალის ახსნისა და გადაცემისათვის (თვალსაჩინოებები, მაგალითები, ფოტო/ვიდეო მასალები), აგრეთვე შესწავლილი საკითხების გაგება-გააზრებისთვის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში უმეტესად ასახულია რესურსები. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მათი გამოყენება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს მრავალფეროვან რესურსს: სახელმძღვანელოები, ტელესკოლის გაკვეთილები, ელექტრონული რესურსები. (იხ. წარმოდგენილი დოკუმენტები-მაგ: კათედრის ოქმი N1, კურიკულუმები, დანართები) **რჩევა**: სასურველია, რომ რესურსების ჩამონათვალი დაწყებით საფეხურზე კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. შუალედური მიზნის მისაღებად განსაზღვრულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს დიფერენცირებულ მიდგომას, რადგან მიზნის მისაღწევად გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის აქტივობები (დავალებები). შემუშავებული კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან, სწავლის სტილისა და

	საჭიროებებიდან გამომდინარე. მასწავლებლებს გათვალისწინებული აქვთ კონკრეტული საჭიროების მოსწავლისათვის შესაბამისი, სათანადო აქტივობები და რესურსები. კათედრამ არ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, თუმცა მასწავლებლებთან შეხვედრისას მათ ისაუბრეს, თუ როგორ ახდენენ კომპლექსური ტიპის დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლისთვის, როდესაც ამის საჭიროება არსებობს. **რჩევა:** კათედრამ მეტად იმუშაოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე, მოახდინოს კომპლექსური დავალებების ადაპტირება სსსმ მოსწავლისთვის და შექმნას შესაბამისი შეფასების რუბრიკები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს, მასალებსა და შეფასების ხერხებს, რომლებიც მორგებულია თითოეულ მოსწავლეზე, რათა ყველამ თანაბრად ისარგებლოს სწავლის შესაძლებლობებით და წარმატებით ჩაერთოს პროცესში. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შექმნიან როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, პედაგოგებმა წარმოადგინეს ინდ.გეგმის ნიმუშები. კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს. პედაგოგებმა ისაუბრეს სსსმ მოსწავლეთა შეფასების ინდივიდუალური მიდგომისა და ადაპტირებული აქტივობების მაგალითების შესახებ. **რჩევა:** ინგლისურ და რუსულ ენაში წარმოდგენილ სსსმ მოსწავლისათვის შექმილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის ნიმუშებში სასურველი იქნებოდა, ჩანდეს მოსწავლეთა მიღწევების მონიტორინგი.

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის თანახმად, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვის დოკუმენტში ასახულია ხელოვნების და მუსიკის საგნის მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე ორიენტირება, ასევე წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც მუსიკის/ხელოვნების პედაგოგი გეგმავს და ახორციელებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობას გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად /მოსწავლეთა სოციალიზაციის, პროსოციალური ქცევების გამომუშავებაზე ზრუნვაზე. სკოლის დაწყებით საფეხურზე არის სსსმ მოსწავლე, რომლისთვისაც სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს ინდივიდუალური გეგმებით. პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების და განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს ინდ.გეგმას.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. შემოქმედებით ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების გამოვლენა. ინტერვიუსას კათედრის წევრებმა აღნიშნეს, საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსწავლეთა დავალებების ადაპტირება. დაწყებით საფეხურზე სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები. მასწავლებლებს შედგენილი აქვთ ინდ. გეგმები და სწავლებისას იყენებენ ადაპტირებულ რესურსებს.
მათემატიკა	საგნობრივი კურიკულუმი შექმნილია ისე, რომ მასში ორგანულადაა ინტეგრირებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. შემოქმედებით/კომპლექსურ დავალებათა პირობები, კრიტერიუმები და აქტივობები მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. ეს სხვადასხვა დონის მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, თანაბრად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და განავითარონ საკუთარი პოტენციალი. დავალებების ნიმუშები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ

	სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, ინდივიდუალური ინტერესებისა და დონის გათვალისწინებით. გარდა ამისა, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ადაპტირებული შემოქმედებითი დავალებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათთვის საჭირო მხარდაჭერა. პედაგოგების უკუკავშირით დასტურდება, რომ მასწავლებლები აქტიურად აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს, აგროვებენ მონაცემებს და მათი ანალიზის საფუძველზე აფასებენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს. და უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას.
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იმავე საკითხის, ერთი და იმავე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალება.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოდიფიცირების საშუალებას. მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით მოსწავლეს შეუძლია, თავისი უნარებისა და ინტერესების გათვალისწინებით შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. **რჩევა** - კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი უნდა იყოს მოქნილი და ადაპტირებადი, რათა მოსწავლეს შესაძლებლობა მიეცეს, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას გამოიყენოს საკუთარი უნარები და ინტერესები. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს შემოქმედებითობის განვითარებას და მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობათა რეალიზებას. ამიტომ, მასწავლებლებისთვის რეკომენდებულია კურიკულუმის ფარგლებში ხშირად დანერგონ ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტები, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ, საკუთარი ინიციატივით შექმნან პროდუქტები და გამოავლინონ შესაძლებლობები.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები. პედაგოგები იყენებენ ინდ. გეგმებს და სათანადო რესურსს მათთან მუშაობისას, მსჯელობენ შედეგებზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ სკოლას აქვს გამოცდილება. სკოლაში სამუშაო იგეგმება თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს, შესაბამის რესურსსა და თემებს, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ერთ-ერთ მაგალითად განიხილეს კონკრეტული დავალების მოდიფიცირების ნიმუში. (მათემატიკის პირველი კლასის ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის დანართი N5) **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმშიც ჩანდეს, დანართშიც იყოს გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალების ადაპტირებული/ დიფერენცირებული პირობა და შეფასების რუბრიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ სხვადასხვა შესაძლებლობებისა და დონის მოსწავლეთა ნამუშევრები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები - როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ესგ განსაზღვრულ მიზნებს, შედგენილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია, როგორ გაიაზრა მოსწავლემ სამიზნე ცნებები შერჩეულ თემაში მოცემული საკითხების შესწავლისას. განმსაზღვრელი შეფასებისას გათვალისწინებულია შედეგების მიღწევის ინდიკატორები ამა თუ იმ თემაში. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ ისეთ წყაროებსაც, როგორიცაა: მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე

	ხელმისაწვდომობა, მშობლების, ან დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. საგნობრივ კათედრაზე განიხილება მოსწავლეთა მიღწევები, რათა შედეგებზე დაყრდნობით გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და დაგეგმონ შემდეგი ნაბიჯები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ ახალი სასწავლო კურუკულუმების შექმნის დროს აქცენტი კეთდებოდა ორი მიმართულებით: მასწავლებლების წინა სასწავლო კურიკულუმის ფარგლებში, განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და გაკეთებულ რეფლექსიებზე დაყრდნობით. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოცემულია თემატური მატრიცის ნიმუში, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებსა და საფეხურის შედეგებს, ზოგადია განმსაზღვრელი შეფასებები საგნების მიხედვითაც. განმავითარებელი შეფასება ძირითადად შემოიფარგლება ზეპირსიტყვიერი კომენტარებით. კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ, მოსწავლეების ცოდნის დონე განისაზღვრება შეფასების ტაქსონომიის საშუალებით, რაც მასწავლებლებს ეხმარება, განსაზღვრონ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასებისთვის შეიმუშავეს შეფასების, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი რუბრიკები. ისინი წარმოდგენილი აქვთ სამივე საგნობრივი მიმართულებით: ისტორიის, მოქალაქეობისა და გეოგრაფიის მიმართულებით. მათ აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით - ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუების დროს. **რჩევა:** განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო კონკრეტული და მორგებული კონკრეტულ საკითხზე, რათა შეფასება იყოს მეტად ვალიდური და ობიექტური.

უცხოური ენები	გასაუბრება, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ - განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია, შესაბამისად, მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასება საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს მათი სხვადასხვა უნარი: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები სისტემატურად აკვირდებიან სასწავლო პროცესს და ურთიერთთანამშრომლობით ხვეწენ და ავითარებენ შეფასების რუბრიკებს. შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი.

	რჩევა: სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში თითოეული კრიტერიუმი მოიცავდეს კონკრეტულ ქულას, კრიტერიუმების ქულათა საერთო ჯამი კი იქნება მოსწავლის შეფასება კონკრეტულ აქტივობაში.
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში გეგმავენ განმსაზღვერელი და განმავითარებელი შეფასების თითოეულ კომპლექსურზე გაწერას, ასევე მიმდინარე პროცესების შეფასების ინსტრუმენტზე მუშაობას, საანგარიშო ოქმის შესაბამისად კათედრა ზრუნავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ორიენტირებას მოსწავლის წინსვლასა და განვითარების ხელშეწყობაზე. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნულ რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების სხვადასხვა ნიმუში. მატრიცებს თან ერთვის განმავითერებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ საკმაოდ ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმას. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ შექმნას უფრო მეტი, კონკრეტულ დავალებებზე მორგებული, შეფასების რუბრიკა, რომლებსაც გამართავენ მესამე თაობის ესეგედან ამოღებული მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.
მათემატიკა	მათემატიკის კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები. კერძოდ, განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული, რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას და მოსწავლის პროგრესის დიაგნოსტირებას. შემოქმედებითი დავალებების

	შესაფასებლად გამოიყენება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკები, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, აღწეროს შესრულებული სამუშაო და შეაფასოს წარმოდგენილი ნაშრომი. საბაზო-საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ესგ-ის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, თუმცა ზოგიერთ შეფასების რუბრიკაში ეს მკაფიოდ არ ჩანს. მასწავლებლების უკუკავშირით დასტურდება, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მათ ეხმარება მოსწავლეების მიღწევის დონის განსაზღვრაში და მათი შედეგების დიაგნოსტირებაში. ამის საფუძველზე კი ხდება მოსწავლის პროგრესის გზის დაგეგმვა. **რჩევა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.
სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილ ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქედან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, ისინი გამოხატავენ მზადყოფნას, ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შექმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც აქტიურად იქნებიან ჩართული მოსწავლეებიც.

ტექნოლოგიები	წამოდგენილი განმავითარებელი შეფასების ნიმუშები მართალია, ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების ინდიკატორებს ეყრდნობა, თუმცა ზოგადი ხასიათისაა. შეფასების რუბრიკები უნდა მიემართებოდეს საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ასევე უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებაზე იყოს ორიენტირებული. **რჩევა:** კომპიუტერული ტექნოლოგიების შეფასების რუბრიკებში უნდა ჩანდეს, თუ რომელი კონკრეტული სამიზნე ცნების მიხედვით აფასებთ მოსწავლეს. აღწერდეს ამ ცნებასთან მიმართებით მოსწავლის მიღწევას და აძლევდეს რჩევას შემდგომი განვითარებისათვის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გადმოგზავნილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად შეფასებას ექვემდებარება მოსწავლის კონკრეტული აქტივობა/დავალება, ასევე პროდუქტი, არის შეფასების ზოგადი პრინციპებით გაწერილი. გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, როგორ გამოიყენონ რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებთან მოსწავლის შეფასებისთვის. დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებში მტკიცებულების სახით წარმოადგინეს ქართული ენის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების კურიკულუმების მიხედვით შექმნილი შემოქმედებითი ბუნების დავალებების ნიმუშები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში შეესაბამებოდა კრიტერიუმებს. **რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა

	გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმები
2.დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები
3.სასკოლო სასწავლო გეგმა
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
5.კომპლექსური ტიპის დავალებების გეგმა-ეტაპები, დავალებების შესრულების შემდგომი რეფლექსიები
6.მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები (შემოქმედებითი პროდუქტები) სხვადასხვა სახით.
7.დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საზ. მეცნიერებების კურიკულუმები
8.მასწავლებლებთან ინტერვიუები
9.პროექტების გეგმები
10.სსსმ მოსწავლის ადაპტირებული შემოქმედებითი დავალებები
11.უცხოური ენების კურიკულუმები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე , ინგლისური ,გერმანული და რუსული ენები.
12.პროექტების გეგმა/ნიმუშები (ინგლისური, რუსული, გენმანული ენები).
13.გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა
14.ისგ გეგმები
15.სასკოლო კურიკულუმი მუსიკა და ხელოვნება
16.დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები.
17.კათედრის გეგმა/ოქმები
18.შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები.
19.კურიკულუმები ყველა კლასის
20.მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი
21.კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმები;
22.შემაჯამებელი დავალებების რაოდენობები და ტიპები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სამივე საფეხურზე სკოლის მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებიდან, შეფასების რუბრიკებიდან, კომპლექსური დავალებების ანალიზიდან, რეფლექსიებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წარმოდგენილი

	კურიკულუმების შესაბამისად. სამივე საფეხურზე წარმოდგენილია მოსწავლეთა ნაშრომები, რომლებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო პროცესი ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. გაკვეთილები, სასწავლო აქტივობები და შეფასების სისტემა შემუშავებულია ისე, რომ მხარს უჭერს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებთან ერთობლიობაში, რაც უზრუნველყოფს მათ აკადემიურ წარმატებას. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება: მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათ ევალებათ ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრები მზად არიან, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. სკოლა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ყველა აქტივობა ეფუძნება კურიკულუმს, რაც განაპირობებს იმას, რომ სასწავლო პროცესი იყოს მოწესრიგებული, თანმიმდევრული და მიმართული მოსწავლეების განვითარებაზე.
უცხოური ენები	ინტერვიუს შედეგად დადგინდა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტშიც დეტალურადაა გაწერილი სამივე საფეხურზე უცხოური ენების (ინგლისური, გერმანული, რუსული) სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალება და კულტურათა დიალოგი. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შეკითხვები ემსახურება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები

	ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების განვითარებას. როგორც უცხოური ენების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები ემსახურება სასწავლო პროცესის სწორ დაგეგმვას. აქ წარმოდგენილი სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ესგ-ის შესაბამისად. გარდა ამისა, მასწავლებლების მიერ გამოყენებული რესურსები, დავალების ფორმატები და შეფასების სისტემა უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებს, რაც ადასტურებს პროცესის შინაარსობრივ შესაბამისობას.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კათედრასთან ინტერვიუთი. მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმებში ჩანს, რომ სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები მუშავდება თითოეულ თემასა და საკითხთან მიმართებით.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია წარმოდგენილი კურიკულუმის შესაბამისად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ხდება მცირედი მოდიფიცირება.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ეს შესაბამისობა მათემატიკაში გამოიხატება არა მხოლოდ კურიკულუმების შინაარსში, არამედ პედაგოგების ყოველდღიურ პრაქტიკაშიც, რაც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა. სასკოლო კურიკულუმი განსაზღვრავს საგნობრივ შედეგებსა და შეფასების ინდიკატორებს, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, ზუსტად იცოდნენ, რა ცოდნა და უნარები უნდა განუვითარონ მოსწავლეებს ესგ-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლაში დანერგილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება ესგ-ის შეფასების ინდიკატორებს, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას და მათი პროგრესის გზის დაგეგმვას. წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებების განმავითარებელი რუბრიკები, რაც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, გააანალიზოს და

	შეაფასოს საკუთარი ნაშრომი, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები ცოდნის კონსტრუირების სხვადასხვა საფეხურს ფარავს – დეკლარაციულიდან პირობისეულ ცოდნამდე. ამგვარად, სკოლა ქმნის სასწავლო გარემოს, სადაც ყოველი აქტივობა დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად.
სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში, ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში. გამომდინარე აქედან, სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულიაა 2024-2025 სასწავლო წლისათვის. თუმცა, როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, სასწავლო პროცესში ვერ განახორციელეს ყველა დაგეგმილი კომპლექსური დავალება. ზემოხსენებული გამოცდილებიდან გამომდინარე, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს, ცვლილებები შეიტანოს საგნობრივ კურიკულუმებში. **რჩევა** - პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით შეადგინონ და დახვეწონ კლასის კურიკულუმები; მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, კონტექსტ-მაგალითები.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმს კათედრა მოიაზრებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან გზად, რამდენადაც მასში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. გამოგზავნილი, მოსწავლის შესრულებული ნამუშევრების ნიმუშები ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებას. კურიკულუმებში თემების ჩამონათვალი ფარავს დაწყებითი კლასების საგნების (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებულ სასკოლო მასალას (იხილეთ: დაწყებითი კათედრის ოქმი N1, დაწყებითი კლასების სამოქმედო გეგმა.). თუმცა, საგნის მე და საზოგადოება კურიკულუმში საკითხების ჩამონათვალი არ ემთხვევა კომპლექსური დავალების საჭიროებას. ჩამოთვლილია შეუსაბამო/ზოგადი საპროგრამო საკითხები. **რჩევა:** სასურველია, მე და საზოგადოებაში საკითხები გაერთიანდეს საკითხთა კლასტერებად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე. წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარეობს საჭიროებების დადგენის პროცესი. სკოლა სწავლა/სწავლების პროცესში მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროების იდენტიფიცირების შემდეგ მოქნილად რეაგირებს, რაც გამოიხატება სასკოლო გარემოს, კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალებების, რესურსების მოდიფიცირებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტი გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე - ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებლები მიზნობრივად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეთა პროგრესისთვის. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების დოკუმენტაცია, მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, აქტივობების შეფასების კრიტერიუმები, შეფასების ვერიფიკაციის სქემები - ყველაფერი მოწმობს, რომ შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **რჩევა:** ზოგჯერ შეფასების რუბრიკები უფრო ზოგადი ხასიათისაა. სასურველია, შეფასების რუბრიკები მეტად დაკონკრეტდეს მოცემულ დავალებაზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოყენებულია ზოგადი შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი), სასკოლო სასწავლო გეგმაშიც განსაზღვრულია წინასწარ შემუშავებული სხვადასხვა აქტივობის შეფასების ინსტრუმენტები, თუმცა ნაწილი არ შეესაბამება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და გადახედვას საჭიროებებს. წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ, როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, ზოგიერთ შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმები ზოგადია. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების სისტემური ხედვა და მზადყოფნა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი, განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.

	რჩევა: შეფასების კრიტერიუმები ზოგიერ შემთხვევაში ზოგადია. სასურველია, ისინი გადაისინჯოს, რათა სრულად შეესაბამებოდეს ესგ-ში მოცემულ შეფასების ინდიკატორებს.
უცხოური ენები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე. პედაგოგებთან ინტერვიუმ და შეფასების რუბრიკების გაცნობამ გამოკვეთა ის ფაქტი რომ მოსწავლეებმა იციან, როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა, რა მოდიფიცირებას ახდენენ მასწვალებლები შეფასების პროცესში, რას ემსახურება თითოეული შეფასების რუბრიკის კრიტერიუმი. სკოლაში არსებობს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ხორცილდება მოსწავლეებზე დაკვირვება და ანალიზი. ამის დამადასტურებელია შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშიც, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერა, ქულათა სისტემა და სიტყვიერი კომენტარები. აღსანიშნავია ასევე პედაგოგების ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რომლის საშუალებთაც მიმდინარეობს პედაგოგთა სამუშაოს/პრაქტიკის გაზიარება და ურთიერშეფასება.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება შეფასების სისტემის (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების) საკითხი, რომელიც ამოწმებს, რამდენად სწორად არის შედგენილი და გამოყენებული შეფასების რუბრიკები, დავალებების ანალიზისა და შეფასების ფორმები.
სახელმწიფო ენა	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა კათედრაზე არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებისთვის.

	პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ რა კრიტერიუმებით იზომება ნაშრომი. რუბრიკებში ჩანს, როგორ ნაწილდება ქულები კრიტერიუმების მიხედვით. ყველა მოსწავლესთვის შეფასების რუბრიკა საერთოა.
მათემატიკა	სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ვალიდობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ზუსტ, სამართლიან და ეფექტურ შეფასებას. მისი ვალიდობა დასტურდება იმით, რომ ის ზომავს მოსწავლეთა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული (წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები). სანდოობა კი იმაში მდგომარეობს, რომ შეფასების შედეგები თანმიმდევრულია, შეესაბამება სტანდარტის ინდიკატორებს, რაც გამორიცხავს შემთხვევითი ფაქტორების გავლენას. გამჭვირვალობა მიიღწევა შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების კომუნიკაციით, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს საშუალებას აძლევს, სრულად გაიგონ შეფასების პროცესი. მასწავლებლებმა აღნიშნეს გასაუბრებაზე, რომ შეფასების რუბრიკები გამოკრული აქვთ საკლასო ოთახებში. ეს ყოველივე განაპირობებს შეფასების ობიექტურობასაც. სუბიექტური ფაქტორების გავლენა მინიმუმამდეა დაყვანილი და შეფასება კონკრეტულ, წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებს ეფუძნება. შეფასების სისტემის სამართლიანობა კი გამოიხატება მის ინკლუზიურობასა და დიფერენცირებულ მიდგომებში, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (წარმოდგენილია შეფასების როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი რუბრიკები, მოსწავლეების შემოქმედებითი დავალებების და შემაჯამებელი წერის ნიმუშები, და შედეგების ანალიზი/მასწავლებელთა და მოსწავლეთა რეფლექსიები). **რჩევა:** მიუხედავად წარმოდგენილი (ზემოაღნიშნული) შეფასების რუბრიკებისა, ზოგიერთი რუბრიკა ზოგადია. სასურველია, გადაიხედოს ისინი, რათა შეესაბამებოდეს სტანდარტის ინდიკატორებს და გამორიცხოს სუბიექტური / შემთხვევითი ფაქტების გავლენა.

სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს, რათა მათ ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს. ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემის ვალიდურობა, ობიექტურობა, სანდოობა და სამართლიანობა განპირობებულია იმით, რომ შეფასების რუბრიკები შეესაბამება დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებს. პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკებს. მასწავლებელთა თქმით, რუბრიკები თვალსაჩინო ადგილასაა წარმოდგენილი, რაც ზრდის შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და სანდოობას. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, დავალების წარდგენის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს შედეგებს, ხოლო მოსწავლეები ახორციელებენ თვითშეფასებას. **რჩევა** - მიუხედავად იმისა, რომ შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია მრავალფეროვანი ფორმით და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მიზანშეწონილია, თითოეულ რუბრიკაში დაკონკრეტდეს კრიტერიუმების მიხედვით ქულათა მინიჭების პრინციპები. მოსწავლისთვის უფრო მკაფიო უნდა იყოს, კონკრეტულად რა შემთხვევაში დაიმსახურებს მაქსიმალურ შეფასებას, რა შემთხვევაში შემცირდება ქულა და რამდენით. რეკომენდებულია, ქულებით შეფასებასთან ერთად სისტემატურად იყოს ინტეგრირებული განმავითარებელი შეფასების ელემენტები – ფოკუსით პროგრესზე და გასაუმჯობესებელ მხარეებზე.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს. შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის მასწავლებლები, წესისამებრ, აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს. მოსწავლეებმა იციან, რისი შეფასება აქვს მასწავლებელს განსაზღვრული. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს - კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნების შეფასების მიზნით. **რჩევა**: სასურველია, ყველა შემოქმედებით დავალებას შეფასების სქემა თან ერთვოდეს, რათა მომავალში მოსწავლეებს უკეთ მიეცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლემ კი მოახერხოს თვითშეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას და სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს უნდა წარმოადგენდეს. რეალურად, ვერიფიკაცია მოსწავლის მიღწევის ანალიზია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას თვითშეფასებაში უწერია - „სკოლაში არ ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი - შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები. ასევე, ექსპერტთა ვიზიტის დროს, მასწავლებლებთან, დირექციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს აღნიშნული ვერიფიკაციის მექანიზმები. მასწავლებლები შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების გამოყენებაზე საუბრობდნენ ასევე საგნობრივ ექპერტებთან გასაუბრების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით, არანაკლებ სამი წლის ვადით. სკოლაში შექმნილია დოკუმენტების არქივი მატერიალური სახით, სადაც დაცულია მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ამ ეტაპზე სკოლაში შეფასება ხორციელდება ელექტრონულ ჟურნალში და ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს მის აღრიცხვასა და შენახვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ვერიფიკაციის მექანიზმი
2.მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება
3.კურიკულუმები
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
5.კომპლექსური დავალების ანალიზი
6.მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
7.ურთიერთდასწრების ფორმა
8.კათედრების სამუშაო გეგმები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილი აქტივობების შესასრულებლად სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გარკვეული რესურსი. მასწავლებლები იყენებენ ვირტუალურ რესურსსაც. სკოლას აქვს კომპიუტერები,

	ინტერნეტი. კურიკულუმებიდან ჩანს, რომ დავალებების შესრულებისას ხშირად იყენებენ საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტებისათვის გამოსადეგ იაფ და ხელმისაწვდომ რესურსს, რაც ჩანს წარმოდგენილ ფოტო და ვიდეომასალაზე, ასევე - მოსწავლეთა ნაშრომებიდანაც. **რჩევა:** კურიკულუმებში შერჩეულ დავალებებში მეტად შეიტანონ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოითხოვენ იაფ, ხელმისაწვდომ რესურსებს, რომელთა მოძიებაც ნებისმიერ ოჯახს შეუძლია. ასეთი აქტივობები მრავლადაა გრიფირებულ სახელმძღვანელოებში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებაში იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის ძირითად (სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისტორიული რუკები, ატლასები) და დამხმარე რესურსებს, რომლებიც ინტეგრირდება გაკვეთილებში პროექტების, დებატებისა და სიმულაციების საშუალებით, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და კრიტიკულ აზროვნებას; ანალიზი აჩვენებს, რომ რესურსები სრულად აკმაყოფილებს კურიკულუმის მოთხოვნებს.
უცხოური ენები	უცხოური ენების სწავლება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლაში შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. ენების სწავლებისას გამოყენებულია თანამედროვე, ასაკსა და ენის დონეზე მორგებული რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს თემატურად თანმიმდევრულ, ენის განვითარების ინტეგრირებულ კომპონენტებს. სწავლებისას აქტიურად გამოიყენება ონლაინ რესურსებიც, რაც საგაკვეთილო პროცესს მრავალფეროვანს ხდის. რესურსად ასევე გამოყენებულია ბარათები, პოსტერები, აუდიომასალა და თემატურად შერჩეული YouTube-ს ვიდეოები, რომლებიც კურიკულუმში მითითებულია თითოეული თემატური ბლოკის ფარგლებში. საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირებულია როლური თამაშები, პრეზენტაციები, პროექტული სწავლება და დიალოგები, რაც ხელს უწყობს ენის გამოყენების პრაქტიკულ განვითარებას. შესაბამისად, როგორც ინგლისური და რუსული, ისე გერმანული ენის სწავლებისას კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები ეფექტიანად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში.

	რჩევა სასურველია 12 - ე კლასის გერმანული ენის კურიკულუმში, ბეჭდურ რესურსთან ერთად, ნაჩვენები იყოს დამხმარე ციფრული რესურსების გამოყენების პრაქტიკაც.
ესთეტიკური აღზრდა	სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში კურიკულუმში გაწერილია ძირითადი და დამხმარე რესურსები, რომელიც სრულებით კორელაციაშია სასწავლო პროცესთან. სასწავლო პროცესში რესურსები შეჩეულია მოზნობრივად, თემასა და გრძელვადიან მიზნებზე კავშირში, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), თუმცა ასევე მითითებულია ელექტრონული და ვიდეო თუ აუდიო ინტერნეტრესურსებიც.
მათემატიკა	სასწავლო პროცესში სწავლების სამივე საფეხურზე მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. ძირითად რესურსებთან ერთად, როგორიცაა გრიფირებული სახელმძღვანელოები, აქტიურად გამოიყენება დამხმარე საშუალებებიც, მათ შორის: სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინ-რესურსები და ტელესკოლის გაკვეთილები. მასწავლებლების მიერ შექმნილია საპრეზენტაციო ფაილები თემების მიხედვით. ეს მრავალფეროვანი რესურსები ამდიდრებს სასწავლო გარემოს, ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.
სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს საკმარისი სპორტული ინვენტარი და გამართული ინფრასტრუქტურა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს დაუბრკოლებლად.

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს ონლაინ და დამატებითი ელექტრონული რესურსებს. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია და ინტერნეტი. სასწავლო პროცესში გამოყენებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას (სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინ რესურსები).
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმები, სპექტაკლების ჩანაწერები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება კათედრის სხდომასა და პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მიმართულების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათედრებზე განიხილება და საბუთდება იმ დამხმარე რესურსების სანდოობა და ვალიდურობა, რომლებსაც შემდგომში სკოლა იყენებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად. ამდენად, სასწავლო პროცესში საჭირო დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დასაბუთებულია სასკოლო სასწავლო გეგმით დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ზრუნავს, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისთვის გამოყენებული მასალები იყოს მაღალი ხარისხის. კათედრის წევრები ერთად ირჩევენ და ამოწმებენ, რომ ეს რესურსები ერგებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას და მოსწავლეების საჭიროებებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოთვალეს ის ინტერნეტ-რესურსები, რასაც საგაკვეთილო პროცესში იყენებენ. ციფრული რესურსების უკეთ დასანერგად, სკოლა გეგმავს

	მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარებას, რათა ისინი ამ პროცესში უფრო თავდაჯერებულები იყვნენ.
უცხოური ენები	პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ისინი ახდენენ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. ამას ადასტურებს ასევე კათედრის სხდომის ოქმში წარმოდგენილია სახელმძღვანელოების და დამხმარე სახელმძრვანელოების ვალიდურობის შესახებ ინფორმაცია. **რჩევა**: კათედრის სხდომის ოქმის დანართში ჩანდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრა ახორციელებს დამატებითი რესურსის შერჩევას, რომელიც შეესაბამება ესგ-ის ორივე საგნის სტანდარტს. ამას მოწმობს კათედრის ოქმები.
სახელმწიფო ენა	კათედრაზე წარმოდგენილ კათედრის ოქმებში ჩანს და ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ კათედრა, საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთობლივად შეიმუშავებს დამხმარე სასწავლო რესურსს და ახდენს მის ვალიდაციას.
მათემატიკა	კურიკულუმებში გაწერილი დამხმარე რესურსების არჩევა/გამოყენება კონკრეტულ თემასთან მიმართებაში კათედრის წევრების მიერ ხდება ურთიერთშეთანხმებით. შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. მისი გამოყენებით დაგეგმილი აქტივობები არის საინტერესო, დაძლევადი და ხელს უწყობს მოსწავლეებს თვითშეფასების ჩამოყალიბებაში. **რჩევა:** იმისთვის, რომ დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, სასურველია, რესურსების ვალიდაციის გაძლიერება. სწავლებაში გამოყენებული ყოველი მასალა უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის.

სპორტი	სკოლას არ წარმოუდგენია ვალიდაციის პროცესის კონკრეტული დოკუმენტი, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება. მათ გამოთქვეს მზადყოფნა დოკუმენტაციის შექმნასთან დაკავშირებით.
ტექნოლოგიები	მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ რესურსებს დამოუკიდებლად არჩევენ. თუმცა, რა თქმა უნდა, ითვალისწინებენ შესასწავლი საკითხის თემატიკას, მოსწავლეთა ასაკს და ა. შ. **რჩევა:** კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრული უნდა იყოს საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ. სკოლა მზად არის ახალი დამხმარე რესურსების შესაბამისი წესით ვალიდაციისთვის. დაწყებითი კლასების სხდომის N 1 ოქმში ჩანს, რომ საგანმანათლებლო რესურსი, რაც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, განიხილა და შეირჩა კათედრაზე, გადამოწმებულია საგნობრივი ექსპერტის მიერ და მათი ვალიდურობა დასტურდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს კათედრაზე წინასწარ გაწერილი და შემუშავებული სასწავლო აქტივობები და რესურსები ყველა შესაძლებლობის მოსწავლისათვის, რომლებიც გამოყენებულია შუალედური მიზნების შესაბამისად. სასწავლო პროცესში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას (მაგ. პლაკატები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინ რესურსები, მაგალითად, ტელესკოლის გაკვეთილები, სასწავლო ვიდეორგოლები, სიმულაციები).
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მათ შორის - გრიფირებული სახელმძღვანელოებით, ისტორიული რუკებით, ატლასებითა და ციფრული მასალებით, რომლებიც გამოიყენება კლასებში. ეს განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა, დამატებითი ციფრული აღჭურვილობის შეძენა გააუმჯობესებს ინტერაქტიული სწავლის შესაძლებლობებს.
უცხოური ენები	სკოლაში უცხოური ენების სწავლება ხორციელდება ისეთი მატერიალური ბაზის პირობებში, რაც ხელს უწყობს კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლებისათვის გამოყენებული სახელმძღვანელოები და მათთან დაკავშირებული ვიზუალური, აუდიო, წერითი და ელექტრონული რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს. საგაკვეთილო პროცესისთვის სკოლა უზრუნველყოფს: ვიზუალური მასალებით (პოსტერები, ბარათები), ციფრული რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას (ინტერნეტი, კომპიუტერი/პროექტორი); ინდივიდუალური და წყვილებში/ჯგუფებში მუშაობისთვის აუცილებელი გარემოს უზრუნველყოფას.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალისწინებული შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული მატერიალური რესურსის, ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით

სახელმწიფო ენა	სკოლას აქვს შესაბამისი სივრცე (ბიბლიოთეკა, სამკითხველო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია) და სასკოლო ინვენტარი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად. პედაგოგები უზრუნველყოფილნი არიან საგაკვეთილო პროცესისათვის საჭირო ტექნიკითა და საგნებით.
მათემატიკა	სკოლა წარმატებით უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით და ქმნის ოპტიმალურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი პოტენციალი. სწავლა სწავლების პროცესის ხელშესაწყობად სასკოლო სივრცე აღჭურვილია აუცილებელი მატერიალური რესურსებით.
სპორტი	სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც პედაგოგებს ხელს უწყობს, დაუბრკოლებლად განახორციელონ საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი. ეს გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გამოიყენება არსებული მატერიალური რესურსები, რომლებიც ადეკვატურად პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი ციფრული რესურსების მიწოდებას მოსწავლეებისთვის ჰიპერლინკების ან სხვა ციფრული საშუალებების სახით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირეკონტინგენტიანი სკოლებისთვის.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს შესაბამისი ფართი, სასკოლო ინვენტარი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად. პედაგოგები უზრუნველყოფილნი არიან საგაკვეთილო პროცესისათვის საჭირო ტექნიკითა და საგნებით. სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით (აღნიშნულია თვითშეფასებაში, დადასტურდა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს). სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და სამკითხველო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი: პედაგოგები, სპეც.მასწავლებელი, რომელთაც შესაბამისი კვალიფიკაცია გააჩნიათ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კათედრის სხდომის ოქმი რესურსების განხილვაზე
2.მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ შექმნილი მატერიალური და ელექტრონული რესურსები
3.სასკოლო სასწავლო გეგმა
4.კომპლექსური დავალება რესურსების გამოყენებით
5.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
6.საგნობრივი კურიკულუმები
7.შეფასების რუბრიკები

8.დირექტორის ანგარიში
9.ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა
10.მათემატიკის დამატებითი რესურსების ჩამონათვალი (ცალკე დოკუმენტი)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება სასკოლო კურიკულუმის განხორციელების მნიშვნელოვანი ნაწილია. სკოლას აქვს გაწერილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც მოცემულია პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობები. კათედრებზე ასევე ხორციელდება ურთიერთდასწრებები, სადაც ხდება გაკვეთილის დაგეგმვა და მონიტორინგი. გაკვეთილებს სკოლის დირექციაც ესწრება. მასწავლებლები შესაბამის უკუკავშირს იღებენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. .

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის იდენტიფიცირების და გადაჭრის გზების ძიებას. სკოლაში დანერგილია და წარმატებით მუშაობს ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტი, რაც ხელს უწყობს პრობლემის იდენტიფიცირებას და ეფექტური უკუკავშირის საშუალებით პრობლემების მოგვარებას. სასწავლო პროცესში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილზე, აძლევს ეფექტურ უკუკავშირს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, სკოლის დირექციის წარმომადგენლები პერიოდულად ესწრებიან მასწავლებლებს სხვადასხვა აქტივობის განხორციელების დროს, იქნება ეს სასწავლო თუ სოციალური პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ. სკოლას გათავისებული აქვს ის, რომ მონიტორინგი და შეფასება ეფექტურია მაშინ, თუ ის მიზნობრივადაა განხორციელებული და ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2.ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნის ბრძანება
3.ხარისხის მართვის ჯგუფის ოქმი
4.დირექტორის მოადგილის ანგარიში წლის ბოლოს

5.დამრიგებლის ანგარიში (დანართი)
6.მასწავლებლის რეფლექსია
7.ურთიერთდასწრების დოკუმენტაცია: გრაფიკი, გაკვეთილების ანალიზი.
8.შემაჯამებელი დავალებების ანალიზი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ერთიან, სისტემურ მიდგომას და მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს მოიცავს. სკოლაში მონაცემების შეგროვება სხვადასხვა წყაროს საშუალებით ხორციელდება: საგნის მასწავლებლის დაკვირვება კლასის ხელმძღვანელისგან, კოლეგებისგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასების დროს ითვალისწინებენ არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მის შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციასაც, მაგალითად: ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, შესაძლებლობები და საჭიროებები. მასწავლებლებს კათედრებზე შემუშავებული აქვთ შეფასების სხვადასხვა ფორმა: განმსაზღვრელი, განმავითარებელი, ურთიერთშეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მოსწავლის შეფასების დროს მნიშვნელოვანია ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინება, რაც მის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები მოსწავლეებს აკვირდებიან როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში, რაც

უზრუნველყოფს თითოეულ მოსწავლეზე მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას. შემდგომ კი ამ ინფორმაციას ითვალისწინებენ სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება, რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და ობიექტური.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასებისას მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს ყველა ის ფაქტორი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. სკოლაში მასწავლებლები მოსწავლეების შეფასებისას შეისწავლიან სხვადასხვა ფაქტორს და უზრუნველყოფენ მოსწავლეებზე მორგებულ გარემოს, რესურსებზე ხელმისაწვდომობას. ითვალისწინებენ მათ ფსიქო-ემოციურ ფონს და ა.შ. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ კურიკულუმში გაწერონ უფრო მეტი მრავალფეროვანი აქტივობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.შეფასების რუბრიკები სხვადასხვა საფეხურზე და სხვადასხვა საგანში.
2.კათედრის სხდომის ოქმი შეფასების რუბრიკებზე
3.მასწავლებლის რეფლექსია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ წლის ბოლოს იკრიბებიან კათედრებზე და ხდება კურიკულუმის გადასინჯვა/შეფასება. განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს და უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, მსჯელობენ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობაზე. მზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებისთვის. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში ყოველწლიურად ხდება სასკოლო კურიკულუმის განვითარება, რომელიც ეფუძნება წინა წლის გამოცდილებას და შეფასების შედეგებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სკოლაში შექმინილია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

მასწავლებლები გასაუბრების დროს აღნიშნავენ, რომ სასწავლო წლის განმავლობაში, კურიკულუმის განხორციელების დროს მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აუცილებლად აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულემებში. შესაბამისად, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულად ეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას და მასში გათვალისწინებულია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კათედრის ოქმი
2.პედსაბჭოს ოქმი დირექტორის მოადგილის ანგარიშით

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: